



თამთა კაკოიშვილი

**ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებები
და დირექტორთა პასუხისმგებლობა**

**წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად**

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2021 წელი

საავტორო უფლება © 2021წელი, თამთა კაკოიშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა:

თარიღი : – ივნისი, 2021 წელი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი თამთა კაკოიშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „**ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებები და დირექტორთა პასუხისმგებლობა**“ და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი:

ლაშა ცერცვაძე

თარიღი : 27 ივნისი, 2021 წელი

რეზიუმე

სამენარმეო საზოგადოებათა მარეგულირებელი საკანონმდებლო სივრცე თანამედროვე სამყაროს განვითარების შესაბამისად, ითხოვს ეფექტურ განახლებას და უფრო მყარ სამართლებრივ გარანტიებს, როგორც ბიზნეს სუბიექტებისა დამათ წიაღში მოღვაწე პროფესიონალებისთვის, აგრეთვე, ერთმანეთის წინაშე ანგარიშვალდებული საქმიანი ურთიერთობებით, მათთან დაკავშირებული მესამე პირებისათვის, ვინაიდან, სამენარმეო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმები, უნდა პასუხობდეს არსებულ რეალობას, ითვალისწინებდეს საერთაშორისო სამართლებრივ მიღწევებს ამ დარგში, განსაკუთრებით, ევროკავშირისა და მისი წევრისახელმწიფოების სამართალში, იმ მიზნითაც, რომ 2014 წლის 27 ივნისს, საქართველოსათვის დადგა ისტორიული მოვლენა საქართველოს, ევროკავშირის, ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ხელმოწერილი „ასოციაციის შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსადამეორეს მხრივ, ევროკავშირისა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას დამატებით ევროსახელმწიფოებს შორის“ შეთანხმებით, რითაც, ქვეყანამ იკისრა ვალდებულება იმ ევროპულ თანამეგობრობაში ღირსეული წევრის ადგილის მოპოვებისათვის, რაც არის გრძელვადიანი და პასუხისმგებლობებით აღსავსე პროცესი, სადაც საქართველოს მოეთხოვება, ეროვნულ კანონმდებლობაში, აპროექსიმაციის გზით, ასახოს ევროკავშირის სამართალი, შემდგომში, ეფექტური აღსრულების უზრუნველყოფით.

ნაშრომი ეთმობა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებათა მნიშვნელობის განმარტებას და მითითებული გარიგებების გამოვლენისას, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში, ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე სუბიექტის – დირექტორატის (დირექტორის) პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განსაზღვრას, ასევე, ამ მხრივ, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რედაქციით შემოთავაზებულ უპირატესობაზე მსჯელობას.

ნაშრომის მიზანია, ისაუბროს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებების გამოვლენისას არსებულ სამართლებრივ ხარვეზებზე, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით არასაკმარის ნორმატიულ მოწესრიგებაზე, იმსჯელოს სასამართლო გადაწყვეტილებათა ანალიზზე დაყრდნობით, მართლმსაჯულების ინსტანციების პოზიციურ მიმართულებებზე, თუ რა კუთხით არის სამართლებრივი

მსჯელობა წარმართული, რამდენად უარყოფითი ეფექტები გააჩნია არასრულ საკანონმდებლო ბაზას შესაბამისი ინსტანციის მიერ გადამწყვეტილების მიღების პროცესში.

ნაშრომში მომზადებულია შედარებით სამართლებრივ ანალიზზე დაყრდნობით, ამერიკის შეერთებული შტატების, განსაკუთრებით, დელავერის შტატის საკორპორაციო სამართლის და გერმანიის სამართლის მაგალითების შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებათა სამართლებრივი მონესრიგების სფეროში. ნაშრომში ეროვნულ კანონმდებლობასთან შედარებულია მოცემულ სახელმწიფოთა სამართლებრივი მიღწევები, პოზიტიური გამოცდილების გაზიარების შემთხვევაში, დადებითი მხარეების წარმოჩენის მიზნით.

მიუხედავად, იმისა, რომ საკითხი აქტუალური მსჯელობის საგანია თანამედროვე პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამართლებრივ პროცესებში, მისი კიდევ ერთხელ განხილვა დადებითად დაისახება იმ პროცესებზე, რაც ხორციელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში აუცილებელი ცვლილებების (იგულისხმება კანონპროექტი) განხორციელების მიზნით, წინამდებარე ნაშრომის თემატიკის გათვალისწინებით, „ინტერესთა კონფლიქტის“ შემცველი გარიგებების დეტალურად მონესრიგების აუცილებლობასა და დირექტორატის პასუხისმგებლობის საკითხზე, რაც მოქმედ კანონში განხორციელების გზით, ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე სუბიექტს – დირექტორს მისცემს მითითებას აღნიშნულისაგან თავის შეკავებაზე. უფრო მეტი სამართლებრივი განმარტებების დამკვიდრებით, მეორე კუთხით, კი დავის წარმოშობის შემთხვევაში, სასამართლო ინსტანციებს ექნებათ მსჯელობათა სამართლებრივად უფრო ფართოდ განშლის შესაძლებლობა – ჯანსაღი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრებისა და კანონის მიზნების აღსრულებისათვის.

Abstract

Legislative space regulating entrepreneurial societies In accordance with the development of the modern world, Calls for effective renewal and stronger legal safeguards; for business entities and For professionals working in their entrails, Also, For third parties related to each other in business relations, Whereas the norms governing entrepreneurial relations, Must answer The existing reality, To take into account international legal achievements in this field, Especially In the law of the European Union and its Member States, In order to That on June 27, 2014, For Georgia Has come A historical event An agreement signed between Georgia, the European Union, the European Atomic Energy Union and their member states Thus, The country is committed to gaining a worthy member of the European Community, which is a long-term and responsible process in which Georgia is required, through approximation, to reflect EU law.

The paper is devoted to, In accordance with the Law of Georgia on Entrepreneurs, the definition of the significance of conflicts of interest and When detecting specified transactions, in Limited Liability Company and Joint Stock Company, The paper is devoted to, In accordance with the Law of Georgia on Entrepreneurs, the definition of the significance of conflicts of interest and When detecting specified transactions, Limited Liability Company and Joint Stock Company, Entity with the authority of management - Determining the issue of imposing the responsibility of the directorate (director), Also, in this regard, discuss the advantages proposed by the draft law of Georgia on Entrepreneurs.

The aim of the paper is Talk about the legal gaps in the detection of conflicts of interest, Insufficient normative regulation by the Law of Georgia on Entrepreneurs, Discuss based on the analysis of court decisions, On the positional directions of the courts of justice, In what way is the legal reasoning pagan, How many negative effects does the incomplete legal framework have on the decision-making process of the relevant instance. **The paper is prepared based on a comparative legal analysis,** The United States, in particular, Following the examples of Delaware's corporate law, German law, In the field of legal settlement of conflicts of interest. Although the issue is currently under discussion in modern political, economic or legal processes, Review it again Has a positive impact on the processes carried out in order to make the necessary changes to the Law of Georgia on Entrepreneurs (meaning

the draft law); In the present paper Considering the topics, The need for detailed settlement of conflicts of interest and the responsibility of the directorate; Which, through the implementation of the current law, will instruct the subject-director with the authority to manage to refrain from this, by establishing more legal explanations, On the other hand, even in the event of a dispute, the courts will have the opportunity to spread the case more legally - in order to establish sound case law and enforce the goals of the law.

შინაარსი

შესავალი	9
თავი პირველი. დირექტორატის (დირექტორის) მნიშვნელობა და პასუხისმგებლობის საზღვრები	9
დირექტორატის (დირექტორის) სამართლებრივი მნიშვნელობა	12
2.1. დირექტორი ქართულ სამეწარმეო სამართალში	12
2.2. დირექტორი (დირექტორი) ამერიკულ სამართალში, დელავერის შტატის კანონმდებლობის მაგალითზე	13
2.3. დირექტორი გერმანული სააქციო კანონის მაგალითზე	14
2.4. დირექტორი Companies act 2006 –ის მაგალითზე	15
თავი მეორე. დირექტორატის (დირექტორის) ვალდებულებები	17
1. გულმოდგინე და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის მოვალეობათა ცნებები	17
1.1. ქართული კანონმდებლობის მაგალითზე	17
1.2. ამერიკის საკორპორაციო სამართლის მაგალითზე	18
1.3. გულმოდგინე ხელმძღვანელობის მასშტაბი გერმანულ სამართალში	19
თავი მესამე. ერთგულების მოვალეობის (duty of loyalty) მნიშვნელობა კორპორაციის ინტერესების უპირატესობის თვალსაზრისით, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით	20
1. ამერიკული სამართლის მაგალითზე	20
2. ერთგულების ვალდებულება გერმანული სამართლის მაგალითზე	21
თავი მეოთხე. სამეწარმეო გადანყვეტილების თავისუფლების როლი და პასუხისმგებლობის საკითხი	23

1. Business Judgment Rule ამერიკულ სამართალში	23
2 Business Judgment Rule გერმანულ სამართალში.....	29
3. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად	32
თავი მეოთხე. რას გულისხმობს სამართლებრივი ტერმინი „ინტერესთა კონფლიქტი“ .	33
1. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედ რედაქციის თანახმად.....	33
2. „ინტერესთა კონფლიქტი“ მენარმეთა შესახებ კანონპროექტის შესაბამისად, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან შედარებით კონტექსტში	34
3. სამართლებრივი ტერმინის “ინტერესთა კონფლიქტი” –ს მნიშვნელობა ამერიკულ სამართალში.....	37
თავი მეხუთე. “ინტერესთა კონფლიქტი” –ს შემცველ გარიგებათა ეტიმოლოგია	38
1. ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებების განსაზღვრა ქართულ კანონმდებლობაში	38
2. ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებების განსაზღვრა ამერიკულ სამართალში.....	39
3. ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებები გერმანულ სამართალში.....	42
თავი მეექვსე. კორპორაციის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები საქართველოს, აშშ–ს და გერმანიის სამართალში	43
1. ქართულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით.....	43
2. კორპორაციის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის მარეგულირებელი სამართლის ნორმები აშშ–ს სამართალში.....	44
3. პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმები გერმანულ საკორპორაციო სამართალში.....	44
თავი მეშვიდე. ევროკავშირის საკორპორაციო სამართალი	45
თავი მერვე. დირექტორთა პასუხისმგებლობის დაკისრების საზღვრები და სახეები ...	50
1. გერმანული სამართლის მაგალითზე.....	50
2. აშშ–ს სამართლის მაგალითზე	53
3. დირექტორი პასუხისმგებლობის საკითხი ბრიტანული კანონის – companies act 2006 მიხედვით.....	57

4.დირექტორთა პასუხისმგებლობის საკითხი და საზღვრები ქართული სამენარმეო კანონმდებლობის შესაბამისად	59
4.1. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.....	59
4.2.„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად	60
თავი მეექვსე. სასამართლო პრაქტიკა	63
დასკვნა	68
ბიბლიოგრაფია.....	69

თავი პირველი. დირექტორატის (დირექტორის) მნიშვნელობა და პასუხისმგებლობის საზღვრები

1.შესავალი

1994 წლის 28 ოქტომბერს მიღებულმა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმა, ეტაპობრივად განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, სამართლებრივი რეგულირების ფარგლებში მოაქცია და სამენარმეო საქმიანობად მიიჩნია მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად¹. მენარმეობის თავისუფლება უზრუნველყოფილია და წარმოადგენს ქვეყნისათვის კონსტიტუციურად განცხადებულ² ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს თვითმიზანს. თავისუფალი, დამოუკიდებელი და მყარი სამართლებრივი საფუძვლების მქონე სამენარმეო სამართლებრივი სივრცე, მცირე, საშუალო თუ მსხვილი ბიზნესისათვის წარმატებული საქმიანობის ერთი–ერთი გარანტი და საიმედო საფუძველია უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტორებისათვის, ხოლო, ყოველივე მითითებული, ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების საფუძველია.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ეტაპობრივად განიცდიდა შესაბამისი ხასიათის ცვლილებებს. მნიშვნელოვან ცვლილებათა შედეგად, რომელიც „მენარმეთა შესახებ“ კანონში 2008 წლის მარტში განხორციელდა, ქართული სამენარმეო

¹მენარმეთა შესახებ კანონის პირველი მუხლის მე–2 პუნქტი.

²საქართველოს კონსტიტუციის 26–ე მუხლის მე–4 პუნქტი

კანონმდებლობა მეტნაკლებად მოშორდა გერმანული სამართლის სივრცეს და საერთო სამართლის, უმეტესა, აშშ-ს და ინგლისის სამართლისათვის დამახასიათებელი რეგულაციებისაკენ გადაიხარა. თუმცა უნდა ითქვას, რომ დღეს საქართველოში მოქმედი კანონი არ წარმოადგენს ამერიკასა და ინგლისში მოქმედი შესაბამისი ნორმების კოპირებას, პირიქით, იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება მათგან და სწორედ ეს განსხვავებები ანიჭებს ორგინალურობას და საინტერესოს ხდის მას.³

2013 წელს, საქართველოს მენარმეთა შესახებ მოქმედი კანონის გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული საჯარო კონსულტაციების შემდეგ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა საქართველოს მენარმეთა შესახებ ახალი კანონი („კანონპროექტი“). სამუშაო ჯგუფი შეიქმნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში. სამუშაო ჯგუფის პარტნიორი იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებდა USAID-ის მიერ დაფინანსებული მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერებისა და მოგვიანებით კანონის უზენაესობის მხარდაჭერის (PROLoG) პროექტებს საქართველოში. ჯგუფის თავდაპირველი მიზანი იყო მთელი რიგი დისპოზიციური წესების შემუშავება, რომელთა საფუძველზე მხარეები შეძლებდნენ ხელშეკრულების გაფორმებას დამატებითი პირობებით. ამას უნდა გაეზარდა საკანონმდებლო გარემოს ეფექტიანობა.⁴ ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ ღირეფტორთა როლი და პასუხისმგებლობა უნდა გაძლიერდეს (როგორც დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში), განსაკუთრებით შპს-ებში. ღირეფტორთა და აქციონერთა პასუხისმგებლობა ნათლად უნდა განისაზღვროს, რათა თავიდან ავიცილოთ მათი ფუნქციების აღრევა⁵.

მითითებული ჩატარებული კვლევებისა და ღონისძიებების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ უცხოელი ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, მენარმეთა შესახებ კანონი შეესაბამება თუ არა რომელიმე საერთაშორისო სტანდარტს (მათ შორის ევროკავშირის ღირეფტივებს). ინვესტორებისთვის გარკვეული და სტაბილური საკანონმდებლო გარემო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კანონმდებლობის შინაარსი, განსაკუთრებით, როდესაც იგი შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს⁶. როგორც წესი, სასამართლოები განიხილავენ საშუალო და მსხვილი დახურული კომპანიების

³ცერცვაძე ლ. „ღირეფტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას“, თბილისი, 2015, გვ.7

⁴საქართველოს მენარმეთა შესახებ კანონპროექტის რეგულირების ზეგავლების შეფასება, თბილისი, 2018 წელი, გვ. 4.

⁵იგივე, გვ.18,

⁶იგივე, გვ.21

საქმეებს. საქმეების უმეტესი ნაწილი შიდა დავებია: უთანხმოება პარტნიორებსა და დირექტორებს ან პარტნიორებს შორის. დავების უმეტესობის შემთხვევაში, მსხვილი აქციონერები თავად არიან კომპანიის დირექტორები. ეს არის მოქმედი კანონის ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც არ ითვალისწინებს ასეთ შემთხვევებს, რადგან კანონის ზოგადი ფორმულირება არ ეხება დახურულ კორპორაციებს.⁷

საკორპორაციო სამართალი წარმოადგენს ინტენსიურად მზარდ სფეროს, რომელსაც სასიცოცხლოდ ესაჭიროება ქმედითი, ეფექტური და მოქნილი სამართლებრივი ნორმები, რაც შესაბამისობაში იქნება არსებულ პრაქტიკასთან. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი დადგა განსაკუთრებული გამოწვევის წინაშე „ასოციირების შესახებ საქართველოს, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას შორის 2014 წლის 27 ივნისს⁸ ხელმოწერილი შეთანხმების, უმნიშვნელოვანესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტის ფარგლებში, ქვეყნის მიერ ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, მათ შორის საკორპორაციო სამართლის მიმართულებით,

2020 წლის 13 აგვისტოს შემუშავებული საქართველოს კანონის მენარმეთა შესახებ პროექტი და მისგან გამომდინარე კანონპროექტის ორი უმთავრესი გამოწვევას წარმოადგენს: 1) ნორმებისა და პრაქტიკის ეფექტურობის გაზრდა თინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, 2) ევროკავშირის მენარმეთა შესახებ კანონთან ეფექტიანი ჰარმონიზაცია.⁹

კანონპროექტით რედაქტირებულია რიგი ღონისძიებები, მათ შორის, „ინტერესთა კონფლიქტი“–ს მარეგულირებელი ნორმები, რითაც, ტერმინის ცალკეული მუხლით რეგულირება, შესაძლებლობას იძლევა, მოქმედ კანონთან შედარებით, განისაზღვროს, საკორპორაციო გაუთვალისწინებელი კაზუსებისას, განსაზღვრულ იქნას რა არის ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებები, გამოვლენილ იქნას პასუხისმგებლობების სახე, სუბიექტები და გადაჭრის ეფექტური გზები.

კანონპროექტის კვლევის სახელმძღვანელოში მითითებულია, რომ მოქმედ კანონმდებლობაში არ არის რეგულაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, სადაც პირს ან კომპანიას შეუძლია პროფესიული ან ოფიციალური კომპეტენცია საკუთარი ან

⁷იგივე გვ.24

⁸„ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ საქართველოს, ევროპის კავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას შორის შეთანხმება.

⁹საქართველოს მენარმეთა შესახებ კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება, თბილისი, 2018 წელი, იგივე, 4

კორპორაციული სარგებლისთვის გამოიყენოს. ამუამად ინტერესთა კონფლიქტის წესები მოცემულია მხოლოდ საქართველოს კანონში ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ, რომელიც 1998 წლის 24 დეკემბერს დამტკიცდა. ამასთან, იგი მხოლოდ განმცხადებელი კომპანიების შემთხვევაში მოქმედებს¹⁰.

წინამდებარე ნაშრომში შედარებით სამართლებრივ კონტექსტში განხილული იქნება საქართველოს კანონით „მენარმეთა შესახებ“ და კანონპროექტით განსაზღვრული, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტთა – დირექტორატის (დირექტორების) როლი, ვალდებულებები, პასუხისმგებლობათა არეალი ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებების გამოვლენისას, ამერიკის შეერთებული შტატების, კერძოდ, დელავერის შტატის, გერმანიის, ევროკავშირის სამართალისა და ასოციირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრ კონკრეტულ ვალდებულებათა კონტექსტში.

ნაშრომში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე სუბიექტთა პასუხისმგებლობაზე საუბრისას დრო დაეთმობა მათ ვალდებულებებს საზოგადოების წინაშე, მათ შორის, მენარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ პრინციპს – რაც, ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირებს და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს აკისრებს ვალდებულებას – საზოგადოების საქმეებს გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ,¹¹რისი დაცვაც, კეთილსინდისიერ დირექტორს აარიდებენ „ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებებში“ მონაწილეობას რაიმე ფორმით და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობას

2. დირექტორატის (დირექტორის) სამართლებრივი მნიშვნელობა

2.1. დირექტორი ქართულ სამენარმეო სამართალში

¹⁰საქართველოს მენარმეთა შესახებ კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება, თბილისი, 2018 წელი, გვერდი 29

¹¹მენარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლი.

„მენარმეთა შესახებ“ კანონი სამართლებრივი მონესრიგების პროლოგიდანვე, პირველი მუხლის მე-2 პუნქტით¹², სადაც განმარტავს სამენარმეთო საქმიანობის მნიშვნელობას, ქმნის გარკვეულ წარმოდგენას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის მქონე სუბიექტ(ებ)ის უპირველეს მისიაზე, დანიშნულებებზე, მმართველობით მიზნებზე – საწარმოო საქმიანობა ხორციელდებოდა მართლზომიერად, არაერთჯერადად, მოგების მიზნით და ორგანიზებულად, რაც, მიიღწევა სწორი მენეჯერული პოლიტიკით, ამრიგად, აღნიშნული ნორმის მიზნებისათვის, საწარმოო პოლიტიკის მმართველი პირი არის მოგებაზე ორიენტირებული, საქმიანი და ორგანიზებული. კანონმა, მე-9 მუხლის¹³ შესაბამისად, ხელმძღვანელობის უფლებამოსილება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში მისი მიზანმიმართული დირექტორებს, რომლებიც, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელებით, საწარმოს სახელით იღებენ გადაწყვეტილებებს და მესამე პირებთან ურთიერთობისას საწარმოს სახელითვე მოქმედებენ.¹⁴ საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა არის დირექტორის თანამდებობრივი ვალდებულება¹⁵, რის უზრუნველსაყოფადაც, ხდება მათი აღჭურვა უფლება – მოვალეობებით, მათთან წესდების შესაბამისად, დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო, წესდებაში ასეთი განსაზღვრების არარსებობის შემთხვევაში კი გამოიყენება კანონით დადგენილი ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებამოსილებანი.¹⁶

„კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის კანონის¹⁷ მიზნებისათვის დირექტორათად (დირექტორებად) მოიაზრება საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე სუბიექტები¹⁸, რომლებიც არიან პასუხისმგებელნი ბანკის საქმიანობის მართვასა და მისი ფუნქციების შესრულებაზე. კანონი ასევე ადგენს, დირექტორის პოზიციისათვის შესაფერისობის კრიტერიუმებს და განსაზღვრავს შემთხვევებს, როდესაც კომერციული ბანკის დირექტორატი წევრად არ შეიძლება დაინიშნოს ან სამერთვალყოფიერო საბჭოს გადაწყვეტილებით დირექტორატის წევრი თანამდებობიდან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელიც:

ა) ვერ აკმაყოფილებს ბანკი დირექტორის შესაფერისობის კრიტერიუმებს:

¹²მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

¹³მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁴მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁵მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁶მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁷კომერციული ბანკების შესახებ საქართველოს კანონი;

¹⁸კომერციული ბანკების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი

ბ) კანონის შესაბამისად არ აქვს უფლება დაიკავოს ადგილი დირექტორატში;

გ) გამოცხადებულია გაკოტრებულად;

დ) არის ამ ბანკის დირექტორატის წევრის მეუღლე შვილი ან ახლო ნათესავი.¹⁹

მითითებულ ნორმატიული აქტებზე დაყრდნობით, დირექტორი არის ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი ორგანო, რომელმაც წესდებისა და კანონმდებლობის საფუძველზე, უნდა აღასრულოს სანარმოო პროცესის როგორც წარმომადგენლობითი ისე, მმართველობითი მისია, ხოლო, საკუთრივ, „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონის მაგალითის საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელმა მკაცრად განსაზღვრა კომერციული საზოგადოების ხელმძღვანელთა კრიტერიუმები, რომელთა შორის დაადგინა მნიშვნელოვანი პირობა, ამავე კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის²⁰ სახით, რის მიხედვითაც, „კომერციული ბანკის დირექტორი უნდა არ შეიძლება დაინიშნოს ან სამერთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით დირექტორატის წევრი თანამდებობიდან უნდა გათავისუფლდეს პირი, რომელიც არის ამ ბანკის დირექტორატის წევრის მეუღლე შვილი ან ახლო ნათესავი“, რითაც, კანონმდებელი შეეცადა „ინტერესთა კონფლიქტი“-ს სამომავლო შემთხვევების თავიდან არიდებას.

2.2. დირექტორი (დირექტორი) ამერიკულ სამართალში, დელავერის შტატის კანონმდებლობის მაგალითზე

„ბორდი ერთადერთი სავალდებულო ორგანოა, რომელიც ამერიკული სამართლის მიხედვით, კორპორაციებს უნდა ჰქონდეთ. მას ირჩევენ აქციონერთა კრება. იგი შედგება რამდენიმე ფიზიკური პირისაგან, რომელთაც ეწოდებათ დირექტორები. ბორდის მუშაობით უკმაყოფილება აქციონერებს არ აძლევს მისთვის მითითებების მიცემის საშუალებას. უკმაყოფილებაზე რეაგირების სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ის, რომ აქციონერებს შეუძლიათ გამოიწვიონ დირექტორები და აირჩიონ ახალი ბორდი.“²¹

„სამენარმეო კორპორაციების შესახებ“ აშშ-ს მოდელური კანონის²² 8.30 მუხლი, გარდა იმისა, რომ ადგენს დირექტორების ქცევის სტანდარტს დეტალური სახით,

¹⁹ კომერციულ ბანკების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁰ იგივე

²¹ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 112-113.

²² „სამენარმეო კორპორაციების შესახებ“ ამერიკის შეერთებული შტატების კანონი Model Business Corporation Act (2016 Revision) (December 9, 2016);

განსაზღვრავს, რომ დირექტორმა მოვალეობის შესრულებისას უნდა იხელმძღვანელოს კანონმდებლობისა და პროფესიული ეთიკის წესის დაცვით²³, რაც კანონმდებლის მაღალ სტანდარტსა და საკორპორაციო სამართლის განვითარების დონეზე მეტყველებს.

„სამენარმეო კორპორაციების შესახებ“ მოდელური კანონი 8.02 მუხლის ძალით, ადგენს, დირექტორებისათვის ან დირექტორობის კანდიდატებისათვის კვალიფიკაციის ხარისხის განსაზღვრის საკითხს, რაც მოიაზრებს კომპანიასთან შესაბამის გონივრულ კვალიფიკაციას, გამოყენებადს და კანონმდებლობასთან ადეკვატურს, რაც შესაძლებელია განსაზღვრულ იქნას სამენარმეო საზოგადოების წესდებით ან შინაგანანწესით.²⁴ ამრიგად, ამერიკული კორპორაციისათვის დირექტორატი არის დამოუკიდებელი მმართველი სუბიექტი, რომელიც აღჭურვილია უფლება – მოვალეობებით და ვალდებულია ხელმძღვანელობითი საქმიანობა განახორციელოს კანონმდებლობისა და პროფესიული ეთიკის წესების დაცვით. დირექტორატი, გარდა იმისა, რომ ვალდებულია, კომპანიის ხელმძღვანელობის პროცესში დაიცვას კომპანიის ინტერესები, მისი ქცევა უნდა ემსახუროდეს პროფესიული ქცევის სტანდარტებს.

1.4. დირექტორი გერმანული სააქციო კანონის მაგალითზე

გერმანიის სააქციო კანონის²⁵ 76-ე მუხლი იმპერატიულად ადგენს სააქციო საზოგადოების მენეჯმენტის შემადგენლობის საკითხს (მათ შორის წევრთა რაოდენობის) და განსაზღვრავს, რომ დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე, ამასთან, ადგენს თანამდებობის დაკავებისათვის ამკრძალავ, კრიტერიუმებს, რომლებიც ეხება დირექტორატის (დირექტორის) სამსახურებრივი რეპუტაციისა და ნასამართლეობის დამადასტურებელ საკითხებს. სააქციო კანონის 76-ე მუხლი, ასევე, იმ მხრივ არის საინტერესო, რომ დაცულია გენდერული ბალანსის დაცვის კრიტერიუმი, დირექტორთა საბჭოში, ქალ მენეჯმენტთა მონაწილეობის პროცენტულ მაჩვენებელთან დაკავშირებით.²⁶

²³ „სამენარმეო კორპორაციების შესახებ“ ამერიკის შეერთებული შტატების კანონის 8.30 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი;

²⁴ „სამენარმეო კორპორაციების შესახებ“ ამერიკის შეერთებული შტატების კანონის 8. 02 მუხლის პრეამბულა.

²⁵ Aktiengesetz, §76

²⁶ Aktiengesetz & 76. (გერმანიის სააქციო კანონის 76-ე მუხლი)

გერმანიის კანონი „შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ“ (GmbHG)²⁷ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ადგენს, კომპანიის ხელმძღვანელად, დირექტორად მოიაზრებს მმართველობითი უფლებამოსილების მქონე პირს და იმპერატიულად ადგენს, ვინ არ უნდა იყოს დირექტორი²⁸, განსაზღვრული კრიტერიუმების სახით, რაც ისევ კანონმდებლის ბრუნვის საგანსა და მიზანს წარმოადგენს, დაიცვას კომპანია, აქციონები და მათთან დაკავშირებული სუბიექტები არასასურველი სამომავლო შედეგებისაგან.

გერმანული კანონმდებლობისათვის, (დირექტორატი) დირექტორი არის მმართველობითი უფლებამოსილების მქონე პირი, გამჭვირვალე პროფესიული რეპუტაციით, პასუხისმგებელი კომპანიის მართვით ღონისძიებებზე, სადაც, ასევე, დაცული და გათვალისწინებულია, გენდერული ბალანსის საკითხიც.

2.4. დირექტორი ბრიტანულ კანონმდებლობაში Companies act 2006 –ის მაგალითზე

დიდი ბრიტანეთის „კომპანიების შესახებ“ 2006 წლის კანონის 250–ე მუხლი განმარტავს „დირექტორის“ მნიშვნელობას და მიუთითებს, რომ „დირექტორად“ შეიძლება იწოდებოდეს ნებისმიერი პირი, რომელსაც უკავია აღნიშნული პოზიცია მიუხედავად, იმისა რა სახელით ხდება მისი მოხსენიება (In the Companies Acts “director” includes any person occupying the position of director, by whatever name called).²⁹ აღნიშნულის გათვალისწინებით, საკორპორაციო კანონმდებლობისათვის მთავარი არ არის რომ პირი დირექტორად იწოდებოდეს, არამედ განმსაზღვრელი ფაქტორია ასრულებს თუ არა იგი დირექტორის ფუნქციას კომპანიაში³⁰.

დირექტორის ფუნქციათა არსში კი მოიაზრება ის საქმიანობები, რაც ევალება კონკრეტულ სუბიექტს კომპანიის წესდების შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დირექტორის მიერ შესრულებულ ღონისძიებებში, რასაც განსაზღვრული პირი სანარმოო პროცესის ფარგლებში ახორციელებდა ჩვეულებრივ, რუტინულად, ორგანიზებულად, მართლზომიერად. მითითებულის შეფასება დაინტერესებულ მხარეს შეუქმნის წარმოდგენას დირექტორის პოზიციის მნიშვნელობასთან დაკავშირებით.

²⁷ კანონი შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ (GmbHG); ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/gmbhg/__6.html

²⁸ კანონი შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ (GmbHG); ხელმისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/gmbhg/__6.html მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი.

²⁹ „კომპანიების შესახებ“ 2006 წლის კანონის 250–ე მუხლი

³⁰ Company Directors’ Responsibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007, 4(თარგმნა ცერცვაძე ლ.დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას)

„ბრიტანეთის საკორპორაციო კანონმდებლობა 3 (სამი) სახის დირექტორს იცნობს:

- დე იურე (De Jure)
- დე ფაქტო (De Facto)
- ჩრდილში მდგომი (Shadow)³¹

ჩრდილში მდგომი (shadow) დირექტორის მნიშვნელობის განმარტებას ეთმობა კომპანიების შესახებ კანონის 251-ე მუხლი³², რის მიხედვითაც, “ჩრდილში მდგომი დირექტორი“ კომპანიასთან მიმართებაში ეწოდება პირს, რომლის დირექტივების შესაბამისად ხელმძღვანელობენ კომპანიის დირექტორები, ჩვეულებრივ, მიმდინარე მუშაობის პროცესში. მითითებული ნორმა ასევე ადგენს რა შემთხვევაში არ შეიძლება გადაჭრით ჩაითვალოს პირი ჩრდილში მდგომ დირექტორად, ასევე, რა შემთხვევაში არ შეიძლება მიჩნეულ იქნას რომელიმე კორპორატიული ორგანიზაცია შვილობილი კომპანიის „ჩრდილში მდგომ დირექტორად“³³

დე ფაქტო (De Facto) მმართველობის ორგანოს არსებობას იცნობს გერმანიის იურიდიული ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკაც (Faktischen Organen), რომლის თანახმადაც, პირს რომელიც ფაქტიურად მოქმედებს როგორც მმართველობის ერთ-ერთი ორგანოს წევრი, თუმცა ამ პოზიციამდე დანიშნული არასოდეს, გააჩნია იგივე ვალდებულება, რაც კანონმდებლობის შესაბამისად ამ პოზიციამდე დანიშნულ პირს.³⁴

ამრიგად, დირექტორატის (დირექტორის) სამართლებრივი და თანამდებობრივი მნიშვნელობების მითითებულ განმარტებებს შორის, უნდა აღინიშნოს, რომ მათ გააჩნიათ საერთო ნიშანი, ვალდებულები სახით – ფლობდნენ კომპანიის მართვის სადავეებს, იმ მანდატების ძალით, რაც ენიჭებათ წესდებისა და კანონმდებლობის შესაბამისად. ხოლო, ის ცალკეული დამატებითი განსაზღვრებანი, რაც ახასიათებს მითითებული ქვეყნების კანონმდებლობა, მეტყველებს მათ მდიდარ სასამართლო პრაქტიკაზე და ეფუძნება ცალკეულ მნიშვნელოვან პროცესუალურ შემთხვევებს.

თავი მეორე. დირექტორატის (დირექტორის) ვალდებულებები

1. გულმოდგინე და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელობის მოვალეობათა ცნებები

³¹ცერცვაძე ლ. დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას) გვ. 14

³²Companies act 2006, 251

³³ იგივე

³⁴ Neville , Sorenson, (Edit) Company Law and SMEs, Thomson Reuters Professional, Copenhagen, 2010, 146 (თარგმნა ცერცვაძე ლ. დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას) გვერდი 15

1.1. ქართული კანონმდებლობის მაგალითზე

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი 56-ე მუხლის შესაბამისად, დირექტორს ავალდებულებს დაკისრებული ამოცანების კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ შესრულება³⁵, რომლის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებელ დირექტორს ევალება ზიანის ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი წესით; კანონი დირექტორებს გარდა კეთილსინდისიერებისა და გულმოდგინე ხელმძღვანელის ვალდებულებებისა, აკისრებს ზრუნვისა და სამსახურეობრივ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კონფიდენციალურობის ვალდებულებას, შემდეგი სახით:

„საზოგადოების საქმეებს ნდა გაუძღვნენ კეთილსინდისიერად; კერძოდ, ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი, და მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისთვის პასუხს აგებენ სოლიდარულად, მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ. პარტნიორთა კრების წინასწარი თანხმობის გარეშე უფლება არა აქვთ, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენონ საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა თავიანთი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო“.³⁶

კონფიდენციალურობის ვალდებულება იმდენად იმპერატიულია კანონმდებლისათვის, რომ განსაზღვრულია, „დირექტორათთან და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან დადებული ხელშეკრულებით შეიძლება აღნიშნული ვალდებულების ძალაში დატოვებ ამ პირთა თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, მაგრამ არა უმეტეს 3 წლის ვადით.“³⁷ კეთილსინდისიერებას, ზრუნვას და საზოგადოების საუკეთესო ინტერესების მსახურებას ავალდებულებს „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრებს³⁸.

„კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონი მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად ადგენს, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები კომერციული ბანკის საქმეებს უნდა უძღვებოდნენ კეთილსინდისიერად, ბანკზე უნდა ზრუნავდნენ ისე, როგორც

³⁵მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი;

³⁶მენარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი. ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28408?publication=69>

³⁷იქვე

³⁸„ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი. ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/18196?publication=36>

ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი კეთილსინდისიერი და საღად მოაზროვნე პირი და უნდა მოქმედებდნენ ბანკის სტაბილურობის ინტერესების შესაბამისად. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობებს, წარმოშობილი ზიანისათვის სოლიდარულად აგებენ პასუხს ბანკის წინაშე. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად და ბანკის ინტერესებიდან გამომდინარე.³⁹ უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კანონმდებლობისთვის ერთგვაროვნად დიდი მნიშვნელობის მატარებელია დირექტორების ძირითადი ვალდებულებები – კეთილსინდისიერება ზრუნვა, გულმოდგინე და კონფიდენციალურობის ვალდებულება, რომელთა დაღვევისათვის დირექტორისათვის განსაზღვრულია პასუხისმგებლობის საკითხი, ასევე, კონკრეტული ვადის დაცვის საკითხი კონფიდენციალურობის შემთხვევაში.⁴⁰

1.2 ამერიკის საკორპორაციო სამართლის მაგალითზე

„სამენარმეო კორპორაციების შესახებ“ აშშ-ს მოდელური კანონის 8.30 მუხლი ადგენს, დირექტორთა ქცევის სტანდარტებს და ბორდის თითოეულ წევრ დირექტორს ავალდებულებს, მოვალეობათა შესრულებისას იმოქმედოს კეთილსინდისიერად (*in good faith*), იმგვარი გონივრული რწმენით, რაც გამომდინარეობს, კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან.⁴¹ მითითებული მუხლი, „ბ“ ქვეპუნქტის სახით, განამტკიცებს ნორმას, რითაც, „დირექტორები ვალდებულნი არიან, უფლებამოვალეობათა აღსრულების პროცესში, გამოიჩინონ გულმოდგინება (*duties with the care*), ზრუნვის მოვალეობა, იმ ხედვით, როგორც ეს გონივრული მისადაგების პრინციპებით შეესაბამება არსებულ ვითარებას.⁴²

„სამენარმეო კორპორაციების შესახებ“ მოდელური კანონის 8.31 მუხლის კომენტარების ნაწილში ასახულია, რომ დირექტორის მიერ, გონივრულობის ფარგლებს მიღმა, მიღებულ გადაწყვეტილებას ზოგჯერ აფასებენ, როგორც, „უკუნიერი გულგრილობა“ ან „განზრახ უგულებელყოფა“ და ასეთ დროს შესაძლებელია წამოიჭრას კითხვა – „სჯეროდა თუ არა დირექტორს, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ემსახურება კორპორაციის საუკეთესო ინტერესებს?“. მსგავსი საკითხები შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტის შემცველი

³⁹ „კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონი მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი

⁴⁰ იხილეთ გვ. 17.

⁴¹ სამენარმეო კორპორაციების შესახებ“ ამერიკის შეერთებული შტატების მოდელური კანონის 8.30 მუხლის „ა“ პუნქტი,

⁴² მითითებული კანონის 8.30 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

გარიგებების გამოვლენისას.⁴³ მოდელური კანონის 8.31 მუხლის კომენტარების ნაწილში ხაზგასმულია გონივრული რწმენის⁴⁴ საკითხი, რის თანხმაც, ღირეფტორს გონივრულ რწმენას ანიჭებს და ქმნის მისი გადანწყვეტილების მიღების ხასიათი და ინფორმირებულობის ხარისხი, მისი ქმედება ნაკარნახევია კეთილსინდისიერებითა და პატიოსნებით, ასევე არსებობს ობიექტურობის კრიტერიუმი, რაც გულისხმობს, მსგავს მდგომარეობაში მყოფი ადამიანის გონივრულ ქმედებას, კორპორაციის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ.⁴⁵ მითითებული კანონით იკვეთება, რომ ღირეფტორს მოეთხოვება გონივრულობა უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, იმ მოთხოვნების შესაბამისად, რასაც ავალდებულებს, მას როგორც კანონით დაკისრებული მოვალეობანი, ასევე, პროფესიული ეთიკის კოდექსი⁴⁶. გონივრულობის გამოჩენა ღირეფტორის მხრიდან მუხლის თითოეულ ჩანაწერს იდეურად თან სდევს, რითაც, ასევე წარმოდგენილია ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე სუბიექტის ვალდებულება, გაამართლოს მასზე დამყარებული კანონისმიერი შეხედულებანი, რათა ყოველი ქმედება ბადებდეს ნდობის განცდას დაინტერესებული მხარისათვის, ხოლო სამართლებრივი მსჯელობის საგანი კი გახდება თითოეული გარიგება თუ სხვაგვარი ქმედება, რაშიც ჩართული იქნება ღირეფტორატი (ღირეფტორი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული კანონმდებლობა მოქმედ ნორმატიულ აქტებში მითითების გზით იზიარებს ამერიკული კანონმდებლის მიერ განსაზღვრულ ვალდებულებებს ღირეფტორატთა მიმართ ზემოაღნიშნული მოვალეობების ნაწილში, თუმცა არის განმასხვავებელი ნიშანი, ამერიკულისგან განსხვავებით, „მენარმეთა შესახებ კანონი“ მსგავსად, „მენარმეთა შესახებ კანონის პროექტისა არ ავალდებულებს ღირეფტორებს გარდა კანონმდებლობისა, უფლებამოსილების განხორციელების პროცესში დაეყრდნოს „პროფესიული ეთიკის წესს“.

1.3. გულმოდგინე ხელმძღვანელობის მასშტაბი გერმანულ სამართალში

„ზრუნვის მოვალეობის პრინციპის თანახმად, მმართველი საბჭოს ყველა წევრი უნდა იყოს მართავდეს საზოგადოებას, კომპანიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და იმ მონდომებით, რაც მოსალოდნელია, ჩვეულებრივ, მსგავს მდგომარეობაში. მმართველმა საბჭომ უნდა იმოქმედოს კომპანიის ინტერესების

⁴³სამენარმეო კორპორაციების შესახებ“ ამერიკის შეერთებული შტატების მოდელური კანონი (B. SECTION 8.31(A)(2)(I)—GOOD FAIT;

⁴⁴იქვე, C. SECTION 8.31(A)(2)(II)—REASONABLE BELIEF;

⁴⁵იგივე;

⁴⁶სამენარმეო კორპორაციების შესახებ“ მოდელური კანონის 8.30 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

შესაბამისად, რომელის მიზანია, საზოგადოების მდგრადი ღირებულების გაზრდა. კომპანიის ინტერესები არ შემოთარგვლება მხოლოდ მფლობელებით, დაზარალებულად მიიჩნევიან, კომპანიის კრედიტორები, თანამშრომლები, მომხმარებლები და თავად საზოგადოება. „კომპანიის საუკეთესო ინტერესები სულაც არ არის იდენტური აქციონერთა ინტერესებისა“.⁴⁷

„თუ დადგინდება, რომ გამგეობის წევრების რწმენით, არ არსებობს მიზნის მიღწევისათვის მეტი გზა, მათ, თავისუფლად შეუძლიათ აირჩიონ ის გზა, რომელიც უფრო მეტად ხელსაყრელია კომპანიისათვის. დირექტორმა უნდა გამოიყენოს გონიერი ბიზნესმენის მონდომება ყველა საკითხში, მათ უნდა გასწიონ და გამოიჩინონ ისეთი ზრუნვა კომპანიის მიმართ, რასაც გამოიჩენდა ჩვეულებრივ ადამიანი. ეს მოსაზრება უკავშირდება იმ ობიექტურ ხედვას რომლის მიხედვითაც, დირექტორი, ქმედებათა წარმატებით შესრულებისათვის უნდა მოქმედებეს იმგვარი გულმოდგინებით, რასაც, პირად საქმეებში განახორციელებდა. ეს წესები არ ვრცელდება მხოლოდ დირექტორის ვალდებულებაზე გამოიჩინოს მმართველობის პროცესში გულმოდგინება, არამედ, უნარების იმ ხარისხზე, ცოდნასა და გამოცდილებაზე, რაც მოსალოდნელია მისგან. თუ დირექტორს, ჩვეულებრივ, მინიჭებული აქვს რომელიმე დარგის, დანაყოფის მართვა, მას უნდა ჰქონდეს აღნიშნულისათვის საჭირო უნარები და ცოდნა.“⁴⁸

„დირექტორმა უნდა გამოავლინოს გულმოდგინე მენეჯერის უნარები, რომლებსაც განახორციელებდა მსგავსი ტიპის კომპანიის მენეჯმენტი და აღიშნულის გათვალისწინებით დირექტორთა საბჭოს წევრების ზრუნვის ვალდებულება არ შეიძლება შეფასდეს ერთგვაროვნად, სტანდარტული სახით, ვინაიდან, ამ პირებზე დაკისრებული ვალდებულებანი დამოკიდებულია მათ პოზიციებზე, ცოდნის მარაგსა და კომპანიების თავისებურებებზე, შესაბამისად, ერთი და იგივე დარღვევა შესაძლებელია განიხილებოდეს განსხვავებულად.“⁴⁹ ამ უკანასკნელი ჩანაწერით, გერმანული სამართალი გულმოდგინებისა და ზრუნვის ვალდებულების დარღვევისას, საკითხის, სხვა კრიტერიუმებთან ერთად, განიხილავს ერთი და იგივე დარღვევის შემთხვევაში დამრღვევ პირთა პოზიციების, ცოდნისა და კომპანიათა თავისებურებების გათვალისწინებით. რასაც არ ითვალისწინებს ქართული მენარმეთა შესახებ

⁴⁷ Madisson k. Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis, 2012; 17.

⁴⁸ Madisson k., Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis”, 2012, 18.

⁴⁹ იქვე.

კანონმდებლობა, რისი გაზიარებაც რაიმე ფორმით ასევე სასარგებლო იქნებოდა ერთგვარად პასუხისმგებლობის საკითხის სამართლინად გადანყვეტისათვის.

2.ერთგულების მოვალეობის (duty of loyalty) მნიშვნელობა კორპორაციის ინტერესების უპირატესობის თვალსაზრისით, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით

1.ამერიკული სამართლის მაგალითზე

ხელმძღვანელთა ერთგულების მოვალეობის ინსტიტუტი თანამედროვე საკორპორაციო სამართალში სულ უფრო დიდ როლს თამაშობს. „მისი ასეთი მნიშვნელობა სათავეს იღებს ამერიკულ სამართალში. ამიტომ ხელმძღვანელთა ამ მოვალეობის დახასიათებისათვის ამერიკული საკორპორაციო სამართლის შეხედულებები მეტად საყურადღებოა. ამერიკულ სამართალში დირექტორთა ერთგულების მოვალეობის სამართლებრივი ბუნების გაგებისათვის გადამწყვეტია კორპორაციასა და დირექტორებს შორის ურთიერთობათა დახასიათება.⁵⁰

სამენარჩეო კორპორაციების შესახებ“ მოდელური კანონის 8.30 მუხლის, დირექტორთა ქცევის სტანდარტის დადგენისას, საერთო დეფინიციის ფორმატში აერთიანებს, როგორც გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობის, ასევე, ერთგულების მოვალეობის მნიშვნელობას.⁵¹ერთგულების მოვალეობის თანახმად, დირექტორებს მოეთხოვებათ კორპორაციის ინტერესების უპირატესად დაცვა სხვა ნებისმიერ პირად ინტერესთან შედარებით. ეს იმას ნიშნავს, რომ კორპორაციის ინტერესებიდან გამომდინარე, დირექტორების მოქმედებები უნდა იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სხვათა ინტერესებისაგან. კორპორაციის საუკეთესო ინტერესების დაცვა არ არის ერთგვაროვანი და ამერიკული სასამართლოები მას სხვადასხვა დროს განსხვავებულად განმარტავდნენ, მაგალითად, ადრეული წლების გადანყვეტილებებში საზოგადოების ინტერესები გაიგივებული იყო აქციონერთა ინტერესებთან.⁵²

„კორპორაციის ინტერესების უპირატესობა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით – ერთგულების მოვალეობის თანახმად, დირექტორებს მოეთხოვებათ კორპორაციის ინტერესების დაცვა სხვა ნებისმიერ პირად ინტერესებთან შედარებით, ეს იმას ნიშნავს, რომ კორპორაციის ინტერესებიდან გამომდინარე

⁵⁰ჭანტურია ლ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 300.

⁵¹სამენარჩეო კორპორაციების შესახებ“ ამერიკის შეერთებული შტატების მოდელური (Subchapter C. DIRECTORS;FFICIAL COMMENT; 180)

⁵²ჭანტურია ლ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 300.

დირექტორების მოქმედებები უნდა იყოს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი სხვათა ინტერესებისგან.⁵³ ერთგულების მოვალეობა აკისრებს დირექტორებს, რომ მათ თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტური სიტუაციები, განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ სიტუაციებს, როცა ბორდის წევრები იმავდროულად სხვა კორპორაციების ბორდის წევრებიც არიან (interlocking directorates, multiple loyalties)⁵⁴.

2. ერთგულების ვალდებულება გერმანული სამართლის მაგალითზე

”ერთგულების კონცეფცია არის ეთიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. თავდაპირველად პლატონმა თქვა, რომ მხოლოდ⁵⁵ უბრალო კაცს შეუძლია იყოს ერთგული და ეს ერთგულება ნამდვილი ფილოსოფიის პირობაა.“

„ფუნდამენტური და ერთგულად მოქმედებას გულისხმობს, როდესაც, ბიზნეს სუბიექტის თითოეული სასარგებლო რესურსს მინიჭებული აქვს სანდოობის ხარისხი და არის განცალკევებული, მაშინაც კი როდესაც, მეწარმე სუბიექტის მფლობელი არის მხოლოდ ერთი პირი, ან როდესაც, ყველა აქციონერი სრულ თანმობაშია კომპანიის რესურსების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით.⁵⁶

„ერთგულების მოვალეობის ერთ–ერთ მნიშვნელოვან გამოხატულებას გერმანულ სამართალშიც წარმოადგენს გამგეობის წევრის ან სხვა მესამე პირთა ინტერესებთან შედარებით საზოგადოების ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ გამგეობის წევრს საერთოდ აკრძალული ჰქონდეს საკუთარი ინტერესების გამოხატვა და დაცვა.⁵⁷

„ერთგულების მოვალეობა არის კომპანიის ინტერესების დაცვის ვალდებულება, რომელსაც საფუძვლად უდევს მრავალი კონკრეტული მოვალეობა, როგორებიცაა:

- **უფლებამოსილების განხორციელება იმ მიზნებისათვის, რისთვისაც აღნიშნული იქნა მინიჭებული;**
- **არ გამოიყენოს პირადი მიზნებისათვის ის ბიზნეს შესაძლებლობა, რაც გააჩნია კომპანიას ან უკვე დაგეგმილია;**

⁵³ჭანტურია ლ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 303

⁵⁴ჭანტურია ლ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 304

⁵⁵ Madisson k., Duties and liabilities of company directors, under German and Estonian law: a comparative analysis”, 2012, 12.

⁵⁶იქვე.

⁵⁷ჭანტურია ლ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 307.

- არ ჩაერთოს რაიმე სახის სავაჭრო ურთიერთობაში და არ გააფორმო რაიმე სახის გარიგება კომპანიის საქმიანობის ხაზით, საკუთარი ან სხვების სახელით.⁵⁸

„ინტერესთა კონფლიქტი“-ს გამოვლენისას, ჩდება კითხვები, ისეთ სიტუაციებში, როდესაც, მმართველი საბჭოს წევრი აღმოაჩენს კარგ ბიზნეს შესაძლებლობას და რა სახის გადაწყვეტილება მიიღო მან ასეთ დროს, აცნობა თუ არა კომპანიას, სანამ საკუთარ თავზე გამოიყენებდა ამ კარგ სამეწარმეო შანსს.⁵⁹ „კომპანიის დირექტორთა მოვალეობებისა და ვალდებულებების შესახებ, გერმანიისა და ესტონეთის კანონმდებლობის შედარებითი ანალიზი⁶⁰“-ს ავტორი MADISSON მიიჩნევს, რომ საბჭოს წევრი ვალდებულია შეათვასოს კომპანიის წინაშე არსებული პოტენციური სარგებელი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ხვდება კომპანიის საქმიანობის ფარგლებში. თუ საბჭოს წევრი მიიჩნევს რომ შესაძლებლობა არის კომპანიის საქმიანობის ფარგლებში, მაგრამ რაიმე ფორმით შესაბამის მან უნდა დაადასტუროს გადაწყვეტილების მიღების საკითხი ზემდგომ ორგანოსთან. ხოლო, თუ ბიზნეს შესაძლებლობა სცილდება სამეწარმეო საქმიანობის სფეროს, ბორდის წევრს არ ესაჭიროება კომპანიის ინფორმირება საკითხთან დაკავშირებით, არც კომპანიის მიმართ ბიზნეს შესაძლებლობის ბენეფიტების გააზრება.⁶¹

ერთგულების მოვალეობა მოიცავს ასევე მმართველი საბჭოს წევრის მოვალეობას – დაიცვას კონფიდენციალურობა. „მმართველოს საბჭოს წევრები ვალდებული არიან დაიცვან საიდუმლოება ბიზნესის საკითხებზე, სავაჭრო საიდუმლოებებსა და სხვა სახის ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც დაცულია შესაბამის სამეწარმეო საზოგადოებაში. კონფიდენციალურობის მოვალეობა არ მთავრდება თანამდებობიდან მოხსნისთანავე დაგრძელდება ვადის გარეშე.⁶² შინაარსობრივად იდენტური ჩანაწერი ასევე რეგულირებულია „მეწარმეთა შესახებ კანონში, რითაც იგრძნობა გერმანული სამართლის გავლენა ქართულ სამართალზე. რაც არ გვხვდება „მეწარმეთა შესახებ კანონპროექტში“

⁵⁸ Madisson k., Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis”, 2012, 12.

⁵⁹ჭანტურია ლ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 307.

⁶⁰ხელმისაწვდომია: <https://www.rgs.l.edu.lv/uploads/research-papers-list/16/7-karin-madisson-final.pdf>

⁶¹ Madisson k., Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis”, 2012,

⁶²Madisson k., Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis”, 2012, 22.

თავი მეოთხე. სამენარმეო გადანყვეტილების თავისუფლების როლი და პასუხისმგებლობის საკითხი

2. Business Judgment Rule ამერიკულ სამართალში

„1829 წელს, ლუიზიანას შტატის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადანყვეტილება, რომლითაც დაუშვებლად მიიჩნია დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება იმის გამო, რომ მათ კომერციული წარუმატებლობა განიცადეს. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ დირექტორს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რაც ისეთმა შეცდომამ გამოიწვია, რომელიც ნებისმიერ გულმოდგინე დირექტორსაც კი შეიძლებოდა მოსვლოდა. პასუხისმგებლობა მხოლოდ ისეთი უხეში შეცდომისათვის უნდა დადგეს, რომელიც ჯანსაღი გონებისა და ჩვეულებრივი გულმოდგინების ადამიანს არ უნდა მოსვლოდა.⁶³ ამ გადანყვეტილებას მიიჩნევენ Business Judgment Rule-ის დაბადებად, რითად დამკვიდრდა, რომ სამენარმეო წარუმატებლობა არ იწვევს პასუხისმგებლობის დაკისრებას. პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ ბრალეული, მცდარი (არასწორი), გადანყვეტილებისათვის.⁶⁴

„Business Judgment Rule არსებითად სამ ელემენტს შეიცავს, რომლებიც გადანყვეტია ამ ინსტიტუტის სამართლებრივი ბუნების გაგებისათვის:

- ✓ დირექტორის პირადი დაუინტერესებლობა (მიუერძობელობა);
- ✓ საკმარისი ინფორმაციის არსებობა მიღებულ გადანყვეტილებასთან დაკავშირებით;
- ✓ კეთილსინდისიერი მოქმედება კორპორაციის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე;⁶⁵

„არსებობს ერთსულოვნება იმის თაობაზე, Business judgment rule გამოიყენება მხოლოდ ისეთ სამენარმეო გადანყვეტილებებთან დაკავშირებით გამოიყენება, რომელთა მიმართაც დირექტორს პირადი მადისკვალიფიცირებელი დაინტერესება

⁶³ Block/barton/Radin, the business judgment rule.fiduciary dutiesof corporate directors. Fifth edition. Volume i.p.9-12(თარგმ. ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 216.).

⁶⁴ იგივე

⁶⁵Oltmanns, Geschäftsleiterhaftung und unternehmerisches Ermessen; &42-43; (თარგმ. ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 218.).

არ გააჩნია.⁶⁶ იგი გამოიყენება გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობის (duty of care) დარღვევიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.⁶⁷

„თუკი გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობის დარღვევის მოტივით დირექტორების წინააღმდეგ სარჩელი იქნება შეტანილი, სასამართლო ამონებს: მიიღეს თუ არა დირექტორებმა გადაწყვეტილება პირადი დაინტერესების გარეშე, საკუთარი ინტერესების საფუძველზე და კეთილსინდისიერად. თუკი ეს ასეა, მაშინ განხილვა მთავრდება და სარჩელი არ დაკმაყოფილდება.⁶⁸ ამერიკის ყველა შტატის სასამართლოები ერთსულოვნად აღიარებენ, რომ Business judgment rule (სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება) არ გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა დირექტორს პირადი ფინანსური ინტერესი ამოძრავებდა მიღებული სამენარმეო გადაწყვეტილების მიმართ.⁶⁹

„დირექტორის პირადი დაინტერესების საკითხი ერთგულების მოვალეობასთან (duty of loyalty) კავშირში განიხილება, ამ უკანასკნელის მიმართ კი business judgment rule –ის (სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების) არ გამოიყენება⁷⁰, ვინაიდან, იგი გულმოდგინე ხელმძღვანელობის მოვალეობის საფუძველზე განვითარებულ ინსტიტუტს წარმოადგენს.⁷¹

„დელავერის შტატის უმაღლესმა სასამართლომ, 1985 წლის გადაწყვეტილებაში⁷² პირველად გაუსვა ხაზი იმას, თუ რას უნდა მიეცეს ყურადღება გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა მოთხოვნების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს დირექტორების პასუხისმგებლობა. საქმის ძირითადი ფაბულით: დირექტორთა საბჭომ მხარი დაუჭირა ერთ–ერთი დირექტორის (Van Gorkom) წინადადებას, რომლითაც კორპორაცია უნდა შეერწყმოდა სხვა კორპორაციას. დირექტორთა საბჭომ, რომელიც ხუთი შიდან (ინსაიდ) დირექტორისაგან და ხუთი მონვეული (აუტსაიდ)

⁶⁶ Block /barton/radin. The business judgment rule.P 22; Oltmanns, Geschäftsleiterhaftung und unternehmerisches Ermessen & 43 (თარგმ. ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 217.).

⁶⁷ იგივე

⁶⁸ Oltmanns, Geschäftsleiterhaftung und unternehmerisches Ermessen; 35; (თარგმ. ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 220.).

⁶⁹ A.C.acquisitions corp. v. Anderson, clayton &co. 519 2d. 103, 111 (del. Ch.1896) Oltmanns, Geschäftsleiterhaftung und unternehmerisches Ermessen; 35; (თარგმ. ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 222).

⁷⁰ Knapp, Die treuepflicht der aufsichtsratsmitglieder von aktiengesellschaften und directors von corporations; S.71-80. (თარგმნა: ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 313).

⁷¹ იქვე.

⁷² SMITH V.VAN GORKOM 488 A.2D.872 (DEL.1985) (თარგმნა: ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 326).

დირექტორისაგან შედგებოდა, მოისმინა ვან გორკომის ოცნუთიანი მოხსენება შერწყმის გეგმის თაობაზე და აქციების შესასყიდ ფასზე ისე, რომ დირექტორებს წინასწარ წერილობითი ინფორმაცია ამ შერწყმის გეგმის და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე არ ჰქონიათ. აღსანიშნავია, ისიც, რომ მყიდველი ვან გორკომის მიერ იქნა მოძებნილი და ფასიც შეთავაზებული, რის შესახებაც დირექტორებმა არაფერი იცოდნენ. სულ რაღაც ორსაათიანი განხილვის შემდეგ, დირექტორებმა მიიღეს გადაწყვეტილება შერწყმის შესახებ წინადადებისათვის მხარდაჭერის თაობაზე. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს აქციონერებმაც.⁷³

„დელავერის უმაღლესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ბორდის შერწყმის წინადადებასთან დაკავშირებით Business Judgment Rule (სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება) ვერ გავრცელდება. ამით სასამართლომ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება, რომელმაც ბორდის გადაწყვეტილებაზე Business Judgment Rule გაავრცელა. დელავერის უმაღლესი სასამართლო, შესაბამისი არგუმენტაციით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დირექტორები გადაწყვეტილების მიღებისას არ იყვნენ საკმარისად ინფორმირებულნი.⁷⁴

„იმისათვის, რომ განისაზღვროს დირექტორატის (დირექტორის) როგორ პირად დაინტერესებაზე შეიძლება გავრცელდეს სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების გამოყენების ფარგლები მიზანშეწონილია, მოცემულ იქნას მაგალითების სახით:

საკუთარ თავთან დადებული გარიგების (self dealing) შეფასებისას Business Judgment Rule (სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება) ხელმძღვანელობს იმით, რასაც ერთგულების მოვალეობის წესები განამტკიცებენ. კერძოდ, თუკი დირექტორის მონაწილეობა გარიგებაში არ იქნება მიჩნეული ინტერესთა ისეთ კონფლიქტად, რომელმაც შესაძლოა დადებული გარიგების ბათილობა გამოიწვიოს, მაშინ, გადაწყვეტილების მიმართ შესაძლოა Business Judgment Rule-ის (სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება) გამოყენება, არსებითი შემონგების გარეშე. მაგრამ, თუკი დარღვეულია, ერთგულების მოვალეობა (რაც იწვევს დადებული გარიგების ბათილობას), მაშინ დირექტორებს ეკისრებათ ზიანის ანაზღაურება და ბუნებრივია იგი არ გამოიყენება.⁷⁵“

„ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევებისას – აუცილებელია, მოიძებნოს განსხვავება ისეთ პირად დაინტერესებას შორის, რომელიც გამორიცხავს Business

⁷³ იქვე

⁷⁴ SMITH V. VAN GORKOM 488 A.2D.872 (DEL.1985) (თარგმნა: ჭანტურია, ლეკონიძე, ციციულ მარუა და დრექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციოსამართლებაში, თბილისი, 2006, 327).

⁷⁵ Oltmanns, Geschäftsleiterhaftung und unternehmerisches Ermessen; 69; (თარგმ. ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 224).

Judgment Rule–ის გამოყენებას და იმ პირად დაინტერესებას შორის, რომელიც აღნიშნულის გამოყენების შესაძლებლობას უშვებს, ეს საკითხი, კონკრეტული შემთხვევების შეფასების დროს უნდა გადაწყდეს და ამერიკული სასამართლოებიც დიფერენცირებულად უდგებიან მას.⁷⁶

„მიუკერძოებელი დირექტორის თანხმობა – ინტერესთა კონფლიქტის არსებობა თავისთავად არ იწვევს ერთგულების მოვალეობის დარღვევას, თუკი დამოუკიდებელი დირექტორები მოინახევენ ინტერესთა კონფლიქტში მყოფი დირექტორის მიერ დადებულ და სადავოდ ქცეულ გარიგებას, მაგრამ ასეთი გარიგების მიმართ Business Judgment Rule–ის გამოყენების საკითხის გადასაწყვეტად მხოლოდ მოწონება დამოუკიდებელი დირექტორების მხრიდან საკმარისი არ არის. თუკი სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ დადებული გარიგება არ შედის კორპორაციების ინტერესებში, მიუკერძოებელი დირექტორების მიმართაც არ იქნება გამოყენებული Business Judgment Rule და დირექტორები ვალდებულნი არიან აანაზღაურონ ზიანი.⁷⁷ ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში მიუკერძოებელი დირექტორების ან აქციონერების თანხმობა არის წინაპირობა Business Judgment Rule–ის (სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება) გამოყენებისა და პასუხისმგებლობისაგან დირექტორთა გათავისუფლებისათვის.⁷⁸ **აღნიშნულის გათვალისწინებით, ყოველგვარი ინტესერთა კონფლიქტი არ ითვალისწინებს დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხს, მიზანშეწონილია, გათვალისწინებულ იქნას არსებობს თუ არა ზემომითებული წინაპირობანი.**⁷⁹

1.1. Business Judgment Rule გერმანულ სამართალში

გერმანიის სააქციო კანონის (Aktiengesetz) 93–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „დირექტორთა საბჭოს წევრები ვალდებულნი არიან გამოიჩინონ სათანადო გულმოდგინება და კეთილსინდისიერება ხელმძღვანელობის განხორციელებისას. ამასთან, ვალდებულებათა დარღვევად არ მიიჩნევა, როდესაც დირექტორთა საბჭოს წევრს სამენარმეო გადაწყვეტილების მიღებისას, გონივრულად შეეძლო ევარაუდა, რომ იგი სათანადო ინფორმაციის საფუძველზე, საზოგადოების საკეთილდღეოდ მოქმედებდა.⁸⁰

⁷⁶ იქვე

⁷⁷Oltmanns, Geschäftsleiterhaftung und unternehmerisches Ermessen; 69; (თარგმ. ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 225).

⁷⁸ იქვე).

⁷⁹ იხილეთ გვ 25–26

⁸⁰ Aktiengesetz, 93. (გერმანიის სააქციო კანონის 93–ე მუხლი)

გერმანელი კანონმდებლის მოსაზრებით, გადანყვეტილება, რომელიც მიიღო დირექტორმა, თავისი გონივრული შინაგანი რწმენით, ინფორმაციულად გაჯერებული და საზოგადოებისათვის საკეთილდღეო, არ მიიჩნევა ვალდებულების დარღვევად, შესაბამისად, ასეთი პირობებისა და შედეგის დადგომისას, არ განისაზღვრება დირექტორის პასუხისმგებლობა საკითხი.

„გერმანიაში, სამენარმეო გადანყვეტილების თავისუფლება გულისხმობს, მენეჯმენტის მიერ, იმგვარი გადანყვეტილებების მიღებას, რასაც მიიღებდა იმგვარ მდგომარეობაში გონიერი მენეჯერი. სამენარმეო გადანყვეტილების თავისუფლება ერთგვარად, ხელს უწყობს დირექტორებს, გასწიონ რისკები სამენარმეო გადანყვეტილების მიღების პროცესში, მაგრამ ამავე დროს უკრძალავს მიიღონ ნაჩქარევი გადანყვეტილება.“⁸¹

სამენარმეო გადანყვეტილების წესი მოითხოვს დირექტორების კეთილსინდისიერ ქმედებას და გულისხმობს, დირექტორის მიერ გადანყვეტილების მიღებას კომპანიის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ქმედებათა საღ აზროვნებაზე დაყრდნობით. პრეცედენტული სამართლის თანახმად დირექტორი ქმედება უსათუძლოა, თუ მან არასწორად შეაფასა სამენარმეო გადანყვეტილებასთან დაკავშირებული რისკები, ქმედება ჩადენილი იყო გონივრულობის საზღვრებს მიღმა, თუ საბჭოს წევრი გადანყვეტილებას მიიღებს საკუთარი ინფორმაციის გარეშე, შესაბამის სპეციალისტებთან კონსულტაციის გარეშე/ან უბრალოდ არაკომპეტენტურობის გამო.⁸²

ამრიგად, ამერიკული და გერმანული სამართლებრივი მოწესრიგებების გათვალისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც იწოდება სამენარმეო გადანყვეტილების თავისუფლების სახელით – (The Business Judgment Rule), იცავს ჭეშმარიტად გულმოდგინე დირექტორს, სამენარმეო გადანყვეტილების მიღებისას, წარუმატებელი შემთხვევის დადგომის გამო, რაიმე სახის პასუხისმგებლობის დაკისრების აცილებისაგან. ამისათვის, აუცილებელია, რომ ჭეშმარიტად გულმოდგინე დირექტორის მიერ მიღებული გადანყვეტილება აკმაყოფილებდეს ყველა კანონისმიერ კრიტერიუმს, მოცემულს ზოგადი და კონკრეტული სახით. ინტერესთა უპირატესი საზომი ერთეულია, საწარმოს ინტერესი ყოველგვარი სახის და ყველა კონკრეტული შემთხვევის დადგომისას. ინფორმაციულად გაჯერებული, საღ აზრზე დამყარებული, კეთილსინდისიერებით გამსჭვალული სამენარმეო გადანყვეტილება, რომელიც მიემართა კომპანიის საუკეთესო ინტერესებს და მიღებულია დირექტორის კომპეტენციის ფარგლებში, სარგებლობს სამართლებრივი დაცვის გარანტიით,

⁸¹ Madisson k. Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis; 2012; 35.

⁸² Madisson k. Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis; 2012; 35.

ვინაიდან, კარგად დაგეგმილი და მიღებული გადაწყვეტილება გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, სანარმოსა და სხვა პირის (როგორც ღირეექტორის პირადი, ასევე სხვაგვარი დაინტერესება) ინტერესებს შორის.

სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების ინტიტუტს, მოქმედ კანონთან შედარებით ცალკე მუხლს უთმობს მენარმეთა შესახებ კანონი, რაც დეტალურად იქნება განხილული მომდევნო მე-3 პუნქტში.

3. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია „სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების“ კანონისმიერად, პირდაპირ დამკვიდრების მიზანი განსაზღვრული 53-ე მუხლით, შემდეგი სახით:

„კეთილსინდისიერების მოვალეობა არ არის დარღვეული და ხელმძღვანელი პირები არ არიან ვალდებული აანაზღაურონ ის ზიანი, რომელიც სამენარმეო საზოგადოებას მიაღდა მათ მიერ მიღებული სამენარმეო გადაწყვეტილების შედეგად, თუ მათ გონივრულად შეეძლოთ ევარაუდათ, რომ სამენარმეო გადაწყვეტილებას იღებენ საკუთარსი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, სამენარმეო საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე. აღნიშნული არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილება მიღებულია კანონით ან წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევით.⁸³ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის პროექტმა ცალკე მუხლის დაუთმო „ინტერესთა კონფლიქტის რეგულირებას“ და განმარტა რომ „ხელმძღვანელი პირი ან ხმათა 20 პროცენტის ან მეტის მფლობელი პარტნიორი ვალდებულია პარტნიორთა კრებას ან სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო მონისტურ სისტემაში პარტნიორთა კრებას ან ხელმძღვანელ ორგანოს თაქტის შეტყობისთანავე აცნობოს დადებული ან დასადები ისეთი გარიგების თაობაზე, რომლის მიმართ ის დაინტერესებული პირია, ასევე მისი დაინტერესების ხასიათზე“⁸⁴. აღნიშნულზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ თანხმობის საკითხს ითვალისწინებს კანონის პროექტის 56-ე მუხლის მე-4 მუხლი.

თუმცა, კანონპროექტი არ ითვალისწინებს, რა სახის გარიგებები არ მიიჩნევა ინტერესთა კონფლიქტად, რომლებზეც შეიძლება რომ გავრცელდეს სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლება, მსგავსად, ამერიკის მაგალითზე დაყრდნობით.⁸⁵

⁸³მენარმეთა შესახებ კანონის პროექტი, 53-ე მუხლი,

⁸⁴მენარმეთა შესახებ კანონის 56-ე მუხლს მე-6 პუნქტი.

⁸⁵ იხილეთ გვ. 25-26

ასეთი გარიგება შეიძლება იყოს საკუთარ თავთან დადებული გარიგება, რომელზეც დირექტორს მიღებული ჰქონდა უფლებამოსილი ორგანოსგან თანხმობა და ჰქონდა რწმენა რომ იგი საუკეთესო იყო კომპანიის ინტერესებისათვის, თუმცა აღმოჩნდა წარუმატებელი.

სამენარმეო გადაწყვეტილების თავისუფლების ინსტიტუტზე მსჯელობაც, სწორედ იმ მიზანს ისახავდა, რომ მკითხველისათვის თვალნათელი გამხდარიყო პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი და შემთხვევები დირექტორის მიმართ, სამენარმეო გადაწყვეტილების წარუმატებლობისას, იმ გააზრებით, რომ ყოველგვარი წარუმატებელი გადაწყვეტილება არ ინვესტს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე სუბიექტის სამოქალაქო ან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას. გადამწყვეტი როლი ეკისრება „ინტერესთა კონფლიქტი“-ს გამოვლენის საკითხს, რაც ნაკარნახევია პირადი დაინტერესების საფუძვლით. ამასთან, შესაძლებელია არსებობდეს გარიგებაში პირადი დაინტერესების საკითხი, თუმცა მასზე გაცემული იყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ თანხმობა და გადაწყვეტილება მიღებული იყოს დირექტორის იმ რწმენაზე, რომ აღნიშნული არის საუკეთესო კომპანიის ინტერესებისთვის.

თავი მეოთხე. რას გულისხმობს სამართლებრივი ტერმინი „ინტერესთა კონფლიქტი“

1. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედ რედაქციის თანახმად⁸⁶

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი „ინტერესთა კონფლიქტი“-ს ერთგვარ განმარტებას იძლევა მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის მეშვეობით, სადაც აცხადებს, რომ საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირებს⁸⁷, არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (ინტერესთა კონფლიქტი). სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებებსა და კომანდიტურ საზოგადოებებში ამ თანხმობის გაცემა შეუძლია პარტნიორთა კრებას, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში, სააქციო საზოგადოებებსა და კოოპერატივებში – იმ ორგანოს, რომელიც ნიშნავს (ირჩევს) დირექტორებს. ასეთი საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ.“⁸⁸

⁸⁶იგივე

⁸⁷მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

⁸⁸მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი.

ამ მუხლის ჩანაწერის გათვალისწინებით, „ინტერესთა კონფლიქტად“ მიჩნეულია, ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე სუბიექტის მიერ, საზოგადოების მსგავსი სამენარმეო საქმიანობის განხორციელება ან მონაწილეობის მიღება იდენტური თანამდებობრივი სტატუსით (რაც განპირობებულია პროცესში გადანაცვეტილების მიღების უფლებაუნარიანობით), გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- საწარმოს მიმართ ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებაზე დირექტორის მიერ გადანაცვეტილების მიღება შეთანხმებულია საზოგადოების პარტნიორებთან ან იმ ორგანოსთან, რომელიც ნიშნავს დირექტორს;
- თუ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და აღნიშნული ცნობილი იყო პარტნიორებისათვის და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ – რაც კანონისმიერად აღიქმება, როგორც, თანხმობის გაცემა „ინტერესთა კონფლიქტის“ შემცველი სამენარმეო გადანაცვეტილების მიღებაზე.⁸⁹

კანონისმიერი მოყვანილი განმარტებიდან, იკვეთება დირექტორისათვის საწარმოს ინტერესების უპირატესობის მნიშვნელობა და ისეთი გადანაცვეტილების მიღების დაუშვებლობა რაც წინააღმდეგობაში მოვა საზოგადოების სამენარმეო ინტერესებთან, გარდა, ასევე, კანონისმიერი ზემოთმოყვანილი საგამონაკლისო სახით მოყვანილი დაშვებებისა.⁹⁰

„ინტერესთა კონფლიქტი“–ს განმარტებას უფრო კონკრეტული სახით „მენარმეთა შესახებ კანონი“ არ იძლევა. კანონმდებელმა ზოგადი ფორმულებით დაადგინა „ინტერესთა კონფლიქტი“–ს მნიშვნელობა და მასში მოიცვა ყოველგვარი შემთხვევა და მაგალითი, რაც წინააღმდეგობაში სამენარმეო საზოგადოების მიზნებთან, ამოცანებებთან, ბიზნეს გეგმებთან და კომპანიის საუკეთესო ინტერესებთან.“ სამენარმეო საზოგადოების მიზნები კი პირდაპირ კავშირშია მისი საქმიანობის დანიშნულების ფუნქციურ შესრულებასთან – მართლზომიერ და არაეთაჯერად საქმიანობასთან, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად, მოგების მიღების მიზნით⁹¹.

კომპანიის ინტერესთა სფერო კი მოიცავს და ემსახურება მისი მიზნების, ამოცანების შესრულებას, აღნიშნულის გათვალისწინებით კი იქმნება წარმოადგენა რა შეიძლება იყოს სამენარმეო საზოგადოების საქმიანი ინტერესები, რომელთაც არ უნდა დაუპირსპირდეს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე სუბიექტის – დირექტორის (დირექტორის) პირადი ან სხვაგვარი ინტერესები, ინტერესეთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით.

⁸⁹ იგივე

⁹⁰ იქვე.

⁹¹ მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პირველ მუხლს მე-2 პუნქტის შესაბამისად

**2. „ინტერესთა კონფლიქტი“ მენარმეთა შესახებ კანონპროექტის შესაბამისად,
„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონთან შედარებით კონტექსტში**

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის რედაქციის 53-ე მუხლი მოქმედ კანონთან შედარებით ითვალისწინებს, სამენარმეო გადანყვეტილების თავისუფლების კანონისმიერად რეგულირების საკითხს და განმარტავს, რომ:

„კეთილსინდისიერების მოვალეობა არ არის დარღვეული და ხელმძღვანელი პირები არ არიან ვალდებული აანაზღაურონ ის ზიანი, რომელიც სამენარმეო საზოგადოებას მიადგა მათ მიერ მიღებული სამენარმეო გადანყვეტილების შედეგად, თუ მათ გონივრულად შეეძლოთ ევარაუდათ, რომ სამენარმეო გადანყვეტილებას იღებენ საკუთარსი და სანდო ინფორმაციის საფუძველზე, სამენარმეო საზოგადოების ინტერესიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად და ინტერესთა კონფლიქტის ან სხვათა ზეგავლენის გარეშე.

კანონის პროექტმა გარდა, იმისა, რომ ნორმატიულად განსაზღვრა „სამენარმეო თავისუფლების ინსტიტუტი“, ასევე, **დაადგინა, რომ აღნიშნული არ გამოიყენება „ინტერესთა კონფლიქტი“**–ს დროს და იმ შემთხვევებში, როცა, გადანყვეტილება მიღებულია კანონით ან წესდებით გათვალისწინებული მოვალეობების დარღვევით.

მოქმედ რედაქციასთან შედარებით, კანონის პროექტის 55-ე მუხლით **აიკრძალა „საქმიანი შესაძლებლობის მითვისება“**, რითაც, ხელმძღვანელ პირს არ აქვს უფლება, სამენარმეო საზოგადოების წინასწარი თანხმობის გარეშე, პირადი ან საზოგადოების გარდა სხვა პირთათვის სარგებლის მისაღებად **ისარგებლოს სამენარმეო საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანი შესაძლებლობით**, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა მოვალეობის შესრულებისას ან თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე და რომელიც, გონივრული თვალსაზრისით, სამენარმეო საზოგადოების ინტერესის საგანი შეიძლება ყოფილიყო. წინასწარი თანხმობის მიღება არ არის საჭირო, თუ პარტნიორთა კრებამ ან სამეთვალყურეო საბჭომ უკვე იმსჯელა აღნიშნულ შესაძლებლობაზე და უარი თქვა მის გამოყენებაზე. ეს ვალდებულება ძალაში რჩება არაუმეტეს ამ პირის თანამდებობიდან წასვლის მომენტიდან 3 წლისა. სასამსახურო ხელშეკრულებით შეიძლება შეთანხმდეს ნაკლები ვადა.⁹²

მითითებული მუხლი, „საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვით“ ემსახურება იმის განმარტებას, რომ დირექტორს არ აქვს უფლება ისარგებლოს სამენარმეო საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანი შესაძლებლობით, რომლის დარღვევის შემთხვევაში ადგილი ექნება „ინტერესთა კონფლიქტი“–ს შემცველ გარემოებას. ამგვარად, **ინტერესთა კონფლიქტს ადგილი აქვს როდესაც**

⁹²მენარმეთა შესახებ კანონის პროექტის 55-ე მუხლის პირველი პუნქტი. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>

დირექტორი იყენებს იმ საქმიან შესაძლებლობას, სათანადო თანხმობის გარეშე, რაც საზოგადოების ინტერესის საგანი შეიძლება გადახდარიყო“

„ინტერესთა კონფლიქტი“–ს საკითხის რეგულირების თვალსაზრისით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის უმნიშვნელოვანეს მონაპოვარს წარმოადგენს აღნიშნული ტერმინის ცალკეული, 56–ე მუხლის⁹³ სახით დადგენა, რითაც, მოქმედ კანონთან შედარებით:

- „მუხლის პირველი პუნქტით, კონკრეტულად დაისახა ის აუცილებელი ქმედითი ღონისძიება, რაც უნდა დაიცვას ხელმძღვანელმა პირმა – უფლებამოსილ ორგანოს, თაქტის შეტყობისთანავე აცნობს დადებული ან დასადავებელი ისეთი გარიგების თაობაზე, რომლის მიმართ ის დაინტერესებული პირია, ასევე, მისი დაინტერესების ხასიათზე;
- მუხლის მე-2 პუნქტით, ამ მუხლის მიზნებისათვის, დაადგინა დაინტერესებული პირის და ასეთ პირთან დაკავშირებული პირის ვინაობა;
- მუხლის მე-6 პუნქტით, დადგინდა, რომ გადაწყვეტილება იმ გარიგების დამტკიცების შესახებ, რომელშიც მონაწილეობდა დაინტერესებული პირი, უნდა შეიცავდეს მითითებას ასეთი პირის დაინტერესების ხასიათზე, მოცულობასა და გარიგების სხვა მნიშვნელოვან პირობებზე;
- მე-7 პუნქტით კი განისაზღვრა, რომ მუხლის მოთხოვნები არ ვრცელდება იმ სამენარმეო საზოგადოებაზე, რომელშიც მხოლოდ ერთი პარტნიორია და რომელიც იმავდროულად სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირია, ასევე - გარიგებებზე, რომლებიც იდება სამენარმეო საზოგადოებასა და მის 100 პროცენტთან შვილობილ საწარმოს ან 100 პროცენტთან პარტნიორს შორის;
- მე-8 პუნქტით დადგინდა, რომ თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაქტისთვის ცნობილი იყო ინტერესთა კონფლიქტის არსებობისა და სამენარმეო საზოგადოების ნებართვის არარსებობის შესახებ, სამენარმეო საზოგადოებას აქვს ასეთი ხელშეკრულების შეცილების უფლება⁹⁴;

კანონის პროექტმა, გარდა მითითებული ღონისძიებებისა, ასევე, 225–ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების ძალით **განსაზღვრა, რომ** ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებების მიმართ კანონისმიერად გამოსაყენებელი ღონისძიებები გავრცელდება არა უშუალოდ ასეთი გარიგების მიმართ, ასევე, ინტერესთა კონფლიქტის შემცველი

⁹³მენარმეთა შესახებ კანონის პროექტის 56–ე მუხლი
ხელმისაწვდომია:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>

⁹⁴მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის 56–ე მუხლი
ხელმისაწვდომია:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=>

გარიგების ნიშნების მატარებელი სამეწარმეო გარიგების მიმართ, უფრო კონკრეტულად შემდეგი სახით:

„5.თუ მნიშვნელოვანი გარიგება შეიცავს ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგების ნიშნებს, მის მიმართ გამოიყენება ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებისთვის ამ კანონით დადგენილი ნორმები.

6. მნიშვნელოვანი გარიგება, რომლის მიმართ დარღვეულია ამ კანონით დადგენილი ნორმები ქონების ღირებულების განსაზღვრის ან თანხმობის წესის შესახებ, საცილოა, იმ შემთხვევაში თუ გარიგების მეორე მხარემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გარიგება დადებულია მნიშვნელოვანი გარიგების დადებისათვის გათვალისწინებული წესების დარღვევით და ეს გარიგება საზიანო აღმოჩნდა სააქციო საზოგადოების ინტერესებისათვის.“⁹⁵

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტმა, 225–ე მუხლით⁹⁶, კანონის მოქმედ რედაქციასთან შედარებით, განსაზღვრა საწარმოსათვის მნიშვნელოვანი გარიგების დადების წესი, რითაც გარკვეულწილად დააზღვია რისკები, ამასთან, შეეცადა მათ თავიდან აცილებას სამეწარმეო საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი გარიგებების დადებისას. ასევე, გაითვალისწინა, ამგვარი გარიგებების დადებისას, „ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებების ნიშნების“ გამოვლენის საკითხი და მისი სამართლებრივი რეგულირება, რითაც, მეწარმეთა შესახებ კანონთან შედარებით, უფრო ფართო განმარტება მისცა ინტერესთა კონფლიქტის შემცველ შემთხვევებს მათი შემოდგომი უკეთესი გამოვლენის მიზნით. ამდენად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, არსებული რედაქციით, „ინტერესთა კონფლიქტი–ს“ შემცველ გარიგებებთან დაკავშირებით იძლევა უფრო მეტ სახელმძღვანელო ინსტრუქციას, როგორც სამეწარმეო სფეროში მოღვაწე სუბიექტებისათვის, ასევე, დავის წარმოჭრის შემთხვევაში, სასამართლო ინსტიტუტისათვის გადაწყვეტილების ეფექტურად მიღების მიზნით, რაც სამომავლოდ შექმნის ჭეშმარიტად ძლიერ სამართლებრივ პრეცედენტულ მაგალითებს. სასამართლოს ესაჭიროება უფრო კონკრეტული მარეგულირებელი ნორმები, რათა გადაწყვეტილება დაეფუძნოს არა ზოგად მუხლებს, არამედ ზუსტ კანონისმიერ ჩანაწერებს, ხოლო, სასამართლოს მსჯელობა კი განვითარდეს აღნიშნულის ირგვლივ, კანონმდებლის ჭეშმარიტი მიზნების აღსრულებისათვის.

3.სამართლებრივი ტერმინის “ინტერესთა კონფლიქტი”–ს მნიშვნელობა ამერიკულ სამართალში

⁹⁵მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის 225–ე მუხლი
ხელმისაწვდომია:<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>

⁹⁶იგივე.

„ერთგულების მოვალეობის დარღვევა ყველაზე მეტად ინტერესთა კონფლიქტს უკავშირდება. ამიტომ აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ ინტერესთა როგორი კონფლიქტები შეიძლება იქნას მიჩნეული არსებითად პასუხისმგებლობის დაკისრების წინაპირობად. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ინტერესები მეტად მრავალფეროვანია, ამ ინტერესების შეჯახების შემთხვევებიც ფრიალ მრავალრიცხოვანია. ამერიკული გამოცდილება, რომელიც ამ საკითხში ლიდერის როლს თამაშობს, აქაც საინტერესოა.“⁹⁷

„დელავერის უმაღლესმა სასამართლომ ერთ–ერთ თავის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ერთგულების მოვალეობის დარღვევა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფინანსური ინტერესებით (იგულისხმება ის შემთხვევები, როცა დირექტორს კორპორაციის მიერ დადებული გარიგების მიმართ შეიძლება ჰქონდეს პირადი ინტერესი).“⁹⁸

„ერთგულების მოვალეობის დარღვევის ნიშნები არსებობს მაშინ, როცა კორპორაციის სახელით, გარიგებას დებს დირექტორი, რომელსაც აქვს პირადი დაინტერესება ამ გარიგებაში, ე.ი. ის არის მიუკერძოებელი. ასეთ დირექტორს ამერიკულ სამართალში ეწოდება – interested director და მას შემდეგნაირად ახასიათებს დელავერის უმაღლესი სასამართლო: „დირექტორის დაინტერესება არსებობს მაშინ, როცა სახეზეა ერთგულების (ლოალურობის) დანაწილება ან დირექტორმა მიიღო ან უფლებამოსილია მიიღოს პირადი ფინანსური გამორჩენა (სარგებელი) დაგეგმილი გარიგებისგან, რომელიც სათანადოდ არ არის გაზიარებული აქციონერების მიერ.“⁹⁹

ამრიგად, ამერიკული სამართლისათვის, ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგების ძირითადი საფუძველია ერთგულების მოვალეობის დარღვევა, რითაც, ფართო განმარტება მისცა აღნიშნულს. აქვე საგულისხმოა, რომ ქართული სამართალი არ ითვალისწინებს ერთგულების მოვალეობის საკითხს დირექტორებისათვის, აღნიშნული არ არის არც მოქმედ მენარმეთა შესახებ კანონში და არც მენარმეთა შესახებ კანონის პროექტში, რის თაობაზეც მსჯელობა ასევე წარმართული იქნება წინამდებარე ნაშრომის დასკვნის ნაწილში.¹⁰⁰

თავი მეხუთე. „ინტერესთა კონფლიქტი“ –ს შემცველ გარიგებათა ეტიმოლოგია

1. ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებები ამერიკულ სამართალში

⁹⁷ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 312.

⁹⁸იქვე.

⁹⁹ Pogostin v. Rice, 480 A.2 d 619.624 (Del. Supr. 1984.) (თარგმ. ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 313.)

¹⁰⁰ იხილეთ დასკვნა

„ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებათა შემთხვევებსა და მასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობის საკითხზე მსჯელობის დანწყებამდე, მიზანშეწონილია, მოხსენიებულ იქნას კანონისმიერი ჩანაწერი, რომელის თანახმადაც, დირექტორატის (დირექტორის) პასუხისმგებლობის საკითხი არ დგას ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილად, ვინაიდან, „სამენარმეო კორპორაციების შესახებ“ მოდელური აქტის ¹⁰¹ 8.31 მუხლით ადგენს, რომ პასუხისმგებლობის სტანდარტი დირექტორების მიმართ არ არის ყოველთვის ერთგვარი და დირექტორს შესაძლებელია არ დაეკისროს პასუხისმგებლობა კორპორაციის აქციონერთა წინაშე რაიმე გადაწყვეტილების მიღების ან ქმედების განუხორციელებლობის გამო, გარდა, წარმოების შედეგად პასუხისმგებლობის დაკისრების შემდეგი შემთხვევებისა:

„1) დირექტორის მიერ, შუამდგომლობის არ არსებობის შემთხვევა;

2) სადავო ქმედება იყო ნაკარნახევი ან წარმოშობილი:

ა) არაკეთილსინდისიერი ქმედებით (action not in good fait)

ბ) როდესაც დირექტორს არ სწამდა, რომ მიღებული გადაწყვეტილება ემსახურებოდა კორპორაციის საუკეთესო ინტერესებს;

გ) დირექტორი არ იყო საკმარისად ინფორმირებული, რომ მიელო გარემოებათა შესაბამისი გადაწყვეტილება;

დ) იყო ობიექტურობის ნაკლებობა ოჯახური მდგომარეობის, თინანსური ან საქმიანი ურთიერთობის ან, არსებობდა დამოუკიდებლობის ნაკლებობა, მესამე პირის მიერ, სადავო საკითხის მიმართ მატერიალური დაინტერესების გათვალისწინებით; ამასთან, დირექტორი, მისი გადაწყვეტილების გონივრულობის დასაბუთების მიზნით, არ დაადგენს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიაჩნდა გონივრულად¹⁰².”

მითითებული კანონისმიერი სტანდარტი იძლევა წარმოდგენას ყოველი სადავო ქმედებისათვის დადგება თუ არა დირექტორატის (დირექტორის) პასუხისმგებლობა, რასაც ნათელს ჰფენს შემთხვევებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმების სახით:

- ✓ არაკეთილსინდისიერება;
- ✓ არაინფორმირებულობა;
- ✓ კომპანიის საუკეთესო ინტერესების სასარგებლო ქმედების განუხორციელებლობა;
- ✓ არაობიექტურობა;

¹⁰¹ MODEL BUSINESS CORPORATION ACT (ბელმისანვლოშია; https://www.americanbar.org/content/dam/aba/administrative/business_law/corplaws/2016_mbca.pdf)

¹⁰² MODEL BUSINESS CORPORATION ACT. 8.31

„ღირექტორის ფინანსური ინტერესი (financial interest) თუკი ღირექტორს აქვს ფინანსური ინტერესი კორპორაციის იმ გადანწყვეტილების, გარიგების ან სხვაგვარი ქმედების მიმართ, რომელიც უკავშირდება ღირექტორის საქმიანობას მოცემულ კორპორაციაში, მაშინ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი. ერთგულების მოვალეობა ღირექტორისაგან მოითხოვს, რომ მან მთელი თავისი ცოდნა, გამოცდილება და ენერჯია კორპორაციას მოახმაროს. ეს არ გამოორიცხავს, რომ ღირექტორს ჰქონდეს ინტერესი მაღალი ანაზღაურების მიმართ, რაც არ ჩაითვლება ინტერესთა კონფლიქტად. ინტერესთა კონფლიქტად ჩაითვლება შემთხვევა, როცა ღირექტორი გამორჩენას ელოდება მის მიერ კორპორაციის სახელით დადებული გარიგებებისაგანდა, ამდენად, იგი არ არის მიუკერძოებელი ამ გარიგების დადებისას. დელავერის უმაღლესი სასამართლო ასეთ შემთხვევებისას მოითხოვს, რომ ღირექტორმა განაცხადოს ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე.¹⁰³

„ღირექტორის სხვაგვარი დაინტერესება – ამერიკული სასამართლოების მიერ, სხვაგვარ დაინტერესებად მიიჩნევა, შემთხვევები, როცა მართალია ღირექტორი უშუალოდ არ ელოდება კორპორაციის მიერ დადებული გარიგებიდან რაიმე გამორჩენას, მაგრამ გადანწყვეტილების მიღების დროს, იგი არ არის მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი (not independent), ვინაიდან, სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის ინტერესებიდან გამომდინარე იღებს ამ გადანწყვეტილებას (მაგალითად, არის სხვა კორპორაციის ბორდის წევრიც).¹⁰⁴

„ახლობელთა და ნათესავთა ინტერესები – ამერიკის სამართლის ინსტიტუტის კორპორაციული მართვის პრინციპები¹⁰⁵ და სამენარმეო კორპორაციების მოდელური კანონი¹⁰⁶ ერთგულების მოვალეობის დარღვევად მიიჩნევენ ისეთ შემთხვევებსაც, როცა კორპორაციის მიერ დადებულ გარიგებებში ღირექტორის ახლობლები ან ნათესავები მონაწილეობენ მხარედ და მათ ფინანსური დაინტერესება აქვთ ამ გარიგების მიმართ¹⁰⁷.

¹⁰³ Knapp, Die treuepflicht der aufsichtsratsmitglieder von aktiengesellschaften und directors von corporations; S. 75–76; (თარგმნა: ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და ღირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 313).

¹⁰⁴ Knapp, Die treuepflicht der aufsichtsratsmitglieder von aktiengesellschaften und directors von corporations; S.76

¹⁰⁵ ALL. Principles of Corporate Governance, &1.03; (თარგმნა: ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და ღირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 313).

¹⁰⁶ RMBCA

¹⁰⁷ Knapp, Die treuepflicht der aufsichtsratsmitglieder von aktiengesellschaften und directors von corporations; S.76–77. (თარგმნა: ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და ღირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 313).

„დირექტორის ნათესავებად (related persons) მიიჩნევიან: მეუღლე, მშობლები, და-ძმა, შვილები, შვილიშვილები, მეუღლის მშობლები, მისი და-ძმა, ასევე, ნებისმიერი პირი, რომელიც დირექტორთან ერთად ცხოვრობს.¹⁰⁸ ამერიკული კანონმდებლობა ასევე იყენებს დირექტორთან ასოცირებული პირების ცნებასაც (associates), მათ განეკუთვნება ის პირები, რომლებთანაც დირექტორს საქმიანი, ფინანსური ან სხვაგვარი ურთიერთობები აქვთ და ამკარაა, რომ კორპორაციის გარიგება მათი ზეგავლენის შედეგად დაიდო.¹⁰⁹

ამრიგად, ზემომითითებულ განმარტებებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ **„ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებებად“ ამერიკულ სამართალში გვევლინება შემდეგი სახის ინტერესებით ნაკარნახევი გარიგებები:**

- ✓ დირექტორის ფინანსური ინტერესით (financial interest);
- ✓ სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის ინტერესებიდან გამომდინარე, განხორციელებული მიკერძოებითა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში დამოუკიდებლობის უფლების გამოყენების გარეშე;
- ✓ დირექტორთან ასოცირებული პირების (associates) დაინტერესებითა და მათი ზეგავლენით;

2. ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებები გერმანულ სამართალში

გერმანიის კანონმდებლობაში აკრძალულია თვითკონტრაქტირება (self- contracting) და მრავალჯერადი წარმომადგენლობა (multiple representation)¹¹⁰. სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლი ადგენს, რომ „წარმომადგენელს, თუ მას პირდაპირ არ ეძლევა ნებართვა, არ შეუძლია გარიგების დადება მარწმუნებლის სახელით თავისთავთან არც საკუთარი სახელით და არც როგორც მესამე პირის წარმომადგენელს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარიგება მხოლოდ ვალდებულების შესრულებაა“.¹¹¹

მითითებული მუხლის გააზრება გულისხმობს შემდეგს: როდესაც წარმომადგენელი (როგორც პირის სურვილის შესაბამისად დანიშნული, ისე კანონისმიერი წარმომადგენელი, აგრეთვე ანდერძის აღმსრულებელი) გარიგებას დებს თავისთავთან (თავის თავთან კონტრაქტირება) ან მის მიერ წარმოდგენილ მესამე პირთან (რამდენიმე პირის წარმომადგენლობა), არსებობს ინტერესთა კონფლიქტის საშიშროება. თუმცა, 181-ე მუხლის გამოყენებისათვის ინტერესებს შორის

¹⁰⁸ RMBCA. &8.30 (3)

¹⁰⁹ ALI. Principles of Corporate Governance, &1.03(a) (2); (თარგმნა: ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 314).

¹¹⁰ Madisson k. Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis; 2012; 19.

¹¹¹ კროპპოლერი, ი. „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი“ © GIZ, 2014

დაპირისპირება საკმარისი არ არის. პირიქით, ნორმა ორიენტირებულია პირის იდენტიფიკაციის ფორმალურ კრიტერიუმზე სამოქალაქო ბრუნვის სიციხადისა და უსაფრთხოების ინტერესებში. შესაბამისად, სასამართლო პრაქტიკის თანახმად, § 181-ის გამოყენებისათვის, როგორც წესი, განმსაზღვრელია გარიგების გაფორმების გამომხატელი ფორმა (BGHZ, 77, 7, 9). რათქმაუნდა, ეს არ გამოორიყხავს ფაქტობრივი გამიჯვნისათვის განსაზღვრულ შემთხვევებში კანონმდებლისეულ მოტივს – თავიდან იქნეს აცილებული ინტერესთა კონფლიქტი.¹¹²

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლისა და ძირითადი გააზრების შესაბამისად, იკვეთება, რომ ინტერესთა კონფლიქტის შემცველი ერთ-ერთი გარიგების სახეს წარმოადგენს – წარმომადგენლის მიერ გარიგების დადება მარწმუნებლის, ან საკუთარი სახელით თავის თავთან ან/და როგორც მესამე პირის წარმომადგენელს, გარდა, კანონით, იმპერატიულად განსზღვრული პირობების არსებობისა – ამგვარი გარიგების დადების უფლებამოსილებია პირდაპირ აქვს პირს მინიჭებული და მისი შესრულება, უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი ვალდებულებაა.

„ყველა გარიგება, კომპანიასა და გამგეობის წევრებს შორის, კერძო პირებსა და კომპანიას შორის უნდა შეესაბამებოდეს ინდუსტრიულ სტანდარტებს. ისეთი სახის სესხები და ოპერაციები რომლებიც არ გამომდინარეობს კომპანიის სახელმძღვანელო პრინციპებიდან და არ ემსახურება კომპანიის ინტერესებს, შესაძლებელია გამოიწვიოს მმართველი საბჭოს წევრის სამოქალაქო და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.“¹¹³

5.3. ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებების განსაზღვრა ქართულ კანონდებლობაში

„მწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის განმარტებებზე დაყრდნობით, იმ ვალდებულებების გათვალისწინებით, რაც ეკისრება ნებისმიერ გულმოდგინე დირექტორს, არაპირდაპირი სახით იკვეთება იმ გარიგებათა სახეები, რომლებიც გამოწვეულია ვალდებულებათა დარღვევის გზით და შეიცავს „ინტერესთა კონფლიქტი“-ს ნიშნებს: კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ შემთხვევაში,:

„ა) როდესაც დირექტორები, უფლებამოსილი ორგანოს თანხმობის გარეშე, იგივე საქმიანობის განხორციელებენ, რომელსაც ეწევა საზოგადოება, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ბ) დირექტორების მიერ, მონაწილეობის მიღება მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში, პერსონალურად პასუხისმგებელი პარტნიორების ან დირექტორის სტატუსით,

¹¹²იქვე.

¹¹³იქვე.

უფლებამოსილი ორგანოს თანხმობის გარეშე; თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული“;¹¹⁴

ამრიგად, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით ინტერესთა კონფლიქტი დგება მაშინ დირექტორატის (დირექტორის) პირად ინტერესს ამჯობინებს საზოგადოების კომერციულ ინტერესს და დირექტორი დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

მენარმეთა შესახებ კანონის პროექტი ცალკე მუხლს¹¹⁵ უთმობს „ინტერესთა კონფლიქტი“-ს რეგულირებას და კანონის მიზნებისათვის, ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებებზე მოიაზრებს, როდესაც დირექტორი (დირექტორი) უფლებამოსილი ორგანოს თაქტის შეტყობისთანავე არ აცნობებს დადებული ან დასადები ისეთი გარიგების თაობაზე, რომლის მიმართ ის დაინტერესებული პირია, ასევე მისი დაინტერესების ხასიათზე¹¹⁶;

კანონის პროექტმა მითითებული ჩანაწერის მიზნებისათვის განმარტა, დაინტერესებული პირის მნიშვნელობა, რითაც მეტი განმარტება მისცა ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთან, დაუშვა ასეთი გარიგების დამტკიცების შესაძლებლობა უფლებამოსილი პირის თანხმობით და დაადგინა, რომ გადანაცვლები იმ გარიგების დამტკიცების შესახებ, რომელშიც მონაწილეობდა დაინტერესებული პირი, უნდა შეიცავდეს მითითებას ასეთი პირის დაინტერესების ხასიათზე, მოკულობასა და გარიგების სხვა მნიშვნელოვან პირობებზე.

კანონის პროექტმა 56-ე მუხლის მე-8 პუნქტით, განსაზღვრა, რომ „თუ ხელშეკრულების დადებისას კონტრაქტისთვის ცნობილი იყო ინტერესთა კონფლიქტის არსებობისა და სამენარმეო საზოგადოების ნებართვის არარსებობის შესახებ, სამენარმეო საზოგადოებას აქვს ასეთი ხელშეკრულების შეცილების უფლება“, რითაც გაიზიარა მოქმედი კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, ასეთი საქმიანობის განხორციელებაზე თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშნისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი ეწევა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ.¹¹⁷

შედარების თვალსაზრისით უნდა აღნიშნოს, რომ კანონის პროექტმა, მოქმედი კანონით შემოთავაზებულ რედაქციასთან შედარებით, განსაზღვრა ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებისას დაინტერესებული პირის ვინაობა, რითაც გარკვეულწილად მითითება გასცა ასეთი გარიგებების შემთხვევებზე, ვინაიდან, შეუძლებელია კონტრეტული სახით განისაზღვროს მითითებულ გარიგებათა

¹¹⁴მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი;

¹¹⁵მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის 56-ე მუხლი.

¹¹⁶მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის 56-ე მუხლის პირველი პუნქტი;

¹¹⁷მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი.

ამომწურავი სახეები. ასევე, განსაზღვრა პირობა, გარიგების, უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში, გადაწყვეტილების ინფორმაციული მხარეები, სიზუსტისა და გაურკვევლობის აღმოფხვრის მიზნით.

აქვე აღსანიშნავია, რომ ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენის შემთხვევასა და ინფორმაციის განცხადების ღონისძიებას ადგენს, „ფასიანი ქალაქების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი, მისი მიზნებისათვის.

ამერიკის, გერმანიისა და ქართული სამართლის მაგალითზე დაყრდნობით, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის კანონმდებლობა უფრო მკაცრად ადგენს ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთი სახის საკუთარ თავთან გარიგებას დადების საკითხს, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 181-ე მუხლის შესაბამისად ადგენს – წარმომადგენლის მიერ გარიგების დადება მარწმუნებლის, ან საკუთარი სახელით თავის თავთან ან/და როგორც მესამე პირის წარმომადგენელს, გარდა, კანონით, იმპერატიულად განსაზღვრული პირობების არსებობისა – ამგვარი გარიგების დადების უფლებამოსილება პირდაპირ აქვს პირს მინიჭებული და მისი შესრულება, უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი ვალდებულებაა.

განსხვავებით ამერიკისა, სადაც აღნიშნული დასაშვებია და არ საჭიროებს პირდაპირ ვალდებულებას თუ კი არსებობს უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან თანხმობა.¹¹⁸ რაც შეეხება ქართულ კანონმდებლობას, მეწარმეთა შესახებ კანონი, მსგავსად კანონპროექტისა არც ადგენს და არც კრძალავს პირდაპირი სახით საკუთარ თავთან გარიგების დადების საკითხ, როგორც ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარემოებას, თუმცა „მეწარმეთა შესახებ კანონი“ მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის, ხოლო, „მეწარმეთა შესახებ კანონის პროექტის 56-ე მუხლით დასაშვებად მიიჩნევენ უფლებამოსილი ორგანოს მიერ თანხმობის გაცემას ისეთ გარიგებებში სადაც რაიმე სახის დაინტერესება გააჩნია დირექტორს, რითაც გაზიარებულია ამერიკული გამოცდილება, თუმცა, უკეთესი კონკრეტიზაცია მნიშვნელოვანია.¹¹⁹

თავი მეექვსე. კორპორაციის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები საქართველოს, აშშ-ს და გერმანიის სამართალში

1. ქართულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი¹²⁰ განსაზღვრავს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილების მქონე იურიდიული პირის დაფუძნების პროცედურებს, არსებობის ფორმებსა და მათი არსებობის პროცესში ამავე სუბიექტის

¹¹⁸ იხილეთ გვ.25–26–ში მითითებული განმარტებები.

¹¹⁹ იხილეთ დსკვნა

¹²⁰ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი

ორგანიზაციულ-სამართლებრივ საკითხებს, მათ, შორის პასუხისმგებლობის შემთხვევებს.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“¹²¹ საქართველოს კანონის მიზანია ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება, შესაბამისად, მისი გამოყენების სფერო მოიცავს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, მათ, შორის უფლებამოსილი სუბიექტების პასუხისმგებლობის საკითხებს.

„კომერციული ბანკების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს, რომ ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ნებისმიერი საფუძვლით გაათავისუფლოს სპეციალური მმართველი და სპეციალურ მმართველად დანიშნოს სხვა პირი თავის მიერ დადგენილი წესით. სპეციალური მმართველის პასუხისმგებლობა და ინტერესთა კონფლიქტის საკითხები რეგულირდება „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.¹²²

2. კორპორაციის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის მარეგულირებელი სამართლის ნორმები აშშ-ს სამართალში

„ყოველ ფედერალურ კანონს აქვს თავისი საკორპორაციო კანონები (Corporation statute), რომლებიც არეგულირებენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა კორპორაციის დაფუძნება (Incorporation), პარტნიორთა უფლებები და მოვალეობები, მართვის ორგანოები და ხელმძღვანელობა, რეორგანიზაცია და ა.შ. ამერიკული საკორპორაციო სამართლის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ის უფრო მეტად კანონის სამართალს წარმოადგენს და არა პრეცედენტულ სამართალს, როგორც ეს სამართლის სხვა დარგებშია. საკორპორაციო სამართლის წყაროების დახასიათებისას საყურადღებოა ფედერალური შტატების გამორჩეულად დიდი მნიშვნელობა, ასეთია მაგალითად, დელავერის შტატის საკორპორაციო კანონი (Delaware General Corporation Law). ამერიკული კორპორაციები სწორედ დელავერის შტატშია დაფუძნებული და ექვემდებარებიან ამ კანონის მოქმედებას, მიუხედავად იმისა, თუ რომელ შტატში ახორციელებენ ისინი თავიანთ საქმიანობას.¹²³ ნაშრომი განხილული

¹²¹ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი

¹²²კომერციული ბანკების შესახებ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მ-5 პუნქტი.

¹²³Gevurtz, Corporation law. 35. (თარგ. ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბ.2006.გვ.177-178

იქნება დელავერის შტატის საკორპორაციო სამართლებრივი გამოცდილება, არჩვანს საფუძვლად უდევს, საკორპორაციო სამართლის დარგში დელავერის შტატის განსაკუთრებული ავტორიტეტი, რასაც უპირველეს ყოვლისა, ვრცელი და დახვეწილი სასამართლო პრაქტიკა განაპირობებს.¹²⁴

ნაშრომი ასევე დაეთმო, ამერიკის ადვოკატთა ასოციაციის მიერ შემუშავებულ მოდელურ სამართლებრივ აქტს Revised Model Business Corporation Act (RMBCA)¹²⁵, რომელიც საკორპორაციო კანონმდებლობის შესანიშნავ სახელმძღვანელო მაგალითს წარმოადგენს და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გარდა იძლევა „ღირეფტორის“ დეფინიციას და დეტალურად განიხილავს ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებებში ღირეფტორის მონაწილეობის საკითხს, ასევე, მისი პასუხისმგებლობის ღონისძიებებს. პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამოსამართლო ანუ პრევენდენტულ სამართალს, რომელიც წარმოადგენს ძლიერ სამაგალითო საყრდენს ამ სფეროში მოღვაწე პირებისათვის და ამკვიდრებს კანონისმიერი თუ სამეცნიერო თეორიული ჩანაწერების უფრო თანამედროვე, რეალობას ჭეშმარიტად მორგებულ შეხედულებებს.

3. პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმები გერმანულ საკორპორაციო სამართალში

„გერმანიაში კორპორატიული მართვის შესახებ ნორმატიული წესების ნახვა შესაძლებელია სხვადასხვა ნორმატიულ აქტში. მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანი არის გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (Bürgerliches Gesetzbuch- BGB14), გერმანიის კომერციული კოდექსი (Handelsgesetzbuch- HGB15), მებლუდული პასუხისმგებლობის კომპანიების შესახებ კანონი (Gesetz über die Gesellschaft mit beschränkter Haftung-)GmbHG16) და საფონდო კორპორაციის შესახებ აქტი (Aktiengesetz- AktG17).¹²⁶

წინამდებარე ნაშრომი დაეთმოა გერმანული საკორპორაციო სამართლის მიმოხილვას, მათ შორის განხილული იქნება გერმანიის სააქციო კანონი (Aktiengesetz). გერმანული სააქციო სამართლის მიხედვით, სააქციო საზოგადოების მიერ გაცემული და მიღებული ქონების ღირებულებათა შესაბამისობა, სააქციო სამართალი კეთილსინდისიერი ხელმძღვანელოს შეხედულებას უკავშირებს. გერმანიის უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საწარმომ ქონება კანონდარღვევით გასცა, თუკი

¹²⁴ჯუელი, გ. „კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში“,

¹²⁵ https://www.americanbar.org/content/dam/aba/administrative/business_law/corplaws/2016_mbca.pdf

¹²⁶ Madisson, k. Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis, 2012, 13.

კეთილსინდისიერი, საღად მოაზროვნე მენარმე, სხვა თნაბარი გარემოებების არსებობისას, იმავე პირობებით ისეთივე გარიგებას არააქციონეთან არ დადებთა, ე.ი. გარიგების შინაარსისათვის კომერციული გამართლება არ არსებობს.

დადებული გარიგების შინაარსობრივი ანალოგის არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია გარიგება ბაზრის არსებული პირობების გათვალისწინებით, კომერციული მიზანშეწონილობის მოთხოვნას აკმაყოფილებდეს. დარღვევად არც ბაზრისათვის დამახასიათებელი ფასდაკლებები მიიჩნევა, ვინაიდან მათი გამოყენება, ჩვეულებრივ საბაზრო პირობებშიც არის შესაძლებელი, მხარეთა კორპორაციული ურთიერთკავშირისაგან დამოუკიდებლად.¹²⁷ ნაშრომი ასევე დაეთმობა, გერმანიის შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ კანონს¹²⁸ და მოწესრიგებულ სამართლებრივ ღონისძიებებს.

თავი მეშვიდე. ევროკავშირის სამართალი და მენარმეთა შესახებ კანონი

ევროპის კავშირის სამართლის ამოცანაა კანონმდებლობათა ერთგვაროვნების გარკვეული დონის უზრუნველყოფა. იგი წევრ სახელმწიფოთა საკანონმდებლო ნორმების სრულ იდენტურობას არ ესწრაფვის. ამიტომ საერთო ევროპული დირექტივები, როგორც წესი ზოგადი ხასიათისაა. ეროვნულ კანონმდებელს, დირექტივით დადგენილი მიზნების მისაღწევად, სამართლებრივ საშუალებათა არჩევის ფართო შესაძლებლობა ენიჭება¹²⁹.

ევროკავშირის, როგორც ზესახელმწიფოებრივი ბუნების მეორე საერთაშორისო ორგანიზაციის, მიზნები დეკლარირებულია „ევროპული კავშირის შესახებ“ ხელშეკრულების მე-3 მუხლში, კერძოდ, პირველი პუნქტის მიხედვით ევროპული კავშირი მიზნად ისახავს მშვიდობის, კავშირის ღირებულებებისა და წევრი სახელმწიფოების ხალხთა კეთილდღეობის ხელშეწყობას. ეს მიზნები გარკვეულნილად დაკონკრეტებული მე-2–მე-5 პუნქტებში ამ მხრივ აღსანიშნავია კეთილდღეობის მიზნის დეტალიზაცია, რომლის მიხედვითაც, ევროპული კავშირის მიზნები მოიცავს ეკონომიკის ზრდას, ფასების სტაბილურობას, სოციალურ საბაზრო ეკონომიკას, შიდა ბაზრის შექმნას, გარემოს დაცვას, სოციალური სამართლიანობისა და კულტურული მრავალფეროვნების უზრუნველყოფას, ასევე, თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შექმნას.¹³⁰

¹²⁷ჯუდელი, გ. „კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში“, გვ.77

¹²⁸ Gesetz betreffend die Gesellschaften mit beschränkter Haftung

¹²⁹ჯუდელი, გ. „კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში“, გვ.72;

¹³⁰გაბრიჩიძე გ. „ევროპული კავშირის სამართალი“, თბილისი, 2012, გვ.25

დაფუძნების თავისუფლების შესახებ დებულებები, ევროპული კავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ვრცელდება ასევე სანარმოებზე, კერძოდ კი კომპანიებსა და ფირმებზე, 54-ე მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული მნიშვნელობის შესაბამისად – „კომპანიად და ფირმად ჩათვლება სამოქალაქო ან სავაჭრო სამართლის ფარგლებში დაფუძნებული სანარმოები, ამხანაგობების ჩათვლით, ასევე, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირები მათი გამოკლებით, რომლებიც საქმიანობას არ ახორციელებენ მოგების მიღების მიზნით. ხელშეკრულებით დადგენილი ეს დეფინიცია ავტონომიური ხასიათისაა და არ ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოების სამართალში არსებულ ცნებებს.¹³¹

ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, როდესაც ხელშეკრულებები კავშირს ანიჭებს განსაკუთრებულ კომპეტენციას კონკრეტულ სფეროში, მხოლოდ კავშირი შეიძლება დაანესონ და მიიღონ იურიდიულად სავალდებულო აქტები, წევრ სახელმწიფოებს ამის გაკეთება თავად მხოლოდ მაშინ შეეძლებათ თუ აღნიშნული უფლებამოსილება მიენიჭებათ კავშირის მიერ ან კავშირის აქტების განსახორციელების მიზნით.¹³²

აღსანიშნავია, რომ კავშირის ექსკლუზიურ კომპეტენციათა არეალში, მოქცეულია, საერთო სავაჭრო პოლიტიკა¹³³ და მის შესახებ იურიდიული მნიშვნელობის სამართლებრივი აქტების მიღება, ხოლო, ევროკავშირსა და წევრ სახელმწიფოებს შორის საერთო კომპეტენცია ვრცელდება რიგ საკითხებზე, მათ შორის, შიდა ბაზარი, ეკონომიკური ერთიანობა.¹³⁴ კომპეტენციათა ამგვარი დანაწილება, მიანიშნებს ევროკავშირის დიად მიზნებს, მუდმივად ზრუნავდეს წევრი სახელმწიფოების, ევროკავშირის მოქალაქეების კეთილდღეობაზე, განსაკუთრებული სფეროების რეგულირების გზით.

საქართველოს, ევროკავშირს, ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით¹³⁵

¹³¹ გაბრიჩიე გ. „ევროპული კავშირის სამართალი, 2012, 207

¹³² THE TREATY ON THE FUNCTIONING OF THE EUROPEAN UNION; ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:12012E/TXT:en:PDF>

¹³³ THE TREATY ON THE FUNCTIONING OF THE EUROPEAN UNION; ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:12012E/TXT:en:PDF> მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

¹³⁴ THE TREATY ON THE FUNCTIONING OF THE EUROPEAN UNION; ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:12012E/TXT:en:PDF> მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

¹³⁵ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთს მხრე, საქართველსა და მეორეს მხრე, ევროკავშირს და ევროპის ატომურ ენერჯის გაერთიანებას და მათწევრსახელმწიფოებს შორის, 2014 წელს 27 ივნისი

საქართველომ იკისრა განსაზღვრულ ვადაში, საქართველოს კანონმდებლობაში ასახოს ევროკავშირის სამართალი, დარგობრივი თვალსაზრისით, შესაბამისი დირექტივების ეროვნულ კანონმდებლობაში შესრულებას მოცემულ შემთხვევაში კი, **კორპორაციული სამართლის მიმართულებით:**

„1.2009 წლის 16 სექტემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009/101/EC დირექტივა, იმ გარანტიების კოორდინაციის თაობაზე, რომლებსაც წევრებისა და მესამე მხარეების **ინტერესების დასაცავად**, ითხოვენ კომპანიებისაგან წევრი სახელმწიფოები ხელშეკრულების 48-ე მუხლის მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, რათა ამგვარი გარანტიები გახადონ თანაბარი;

ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

2.1976 წლის 13 დეკემბრის საბჭოს მეორე, 77/91/EEC დირექტივა, იმ გარანტიების კოორდინაციის თაობაზე, რომლებსაც, წევრებისა და სხვა მხარეთა ინტერესების დასაცავად, ითხოვენ კომპანიებისგან წევრი სახელმწიფოები ხელშეკრულების 58-ე მუხლის მეორე პუნქტიდან გამომდინარე, რომელიც დაკავშირებულია შებენი უწყისობის საჯარო კომპანიების ჩამოყალიბებასთან და მათი კაპიტალის შენარჩუნებასა და შეცვლასთან, რათა ამგვარი გარანტიები გახადონ თანაბარი, და რომელიც შესწორდა 92/101/EEC, 2006/68/EC და 2009/109/EC დირექტივებით

ვადა: 77/91/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის განმავლობაში. მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა განიმარტება და საბოლოო გადაწყვეტილება წარედგინება ასოცირების საბჭოს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის ვადაში.

3.1978 წლის 9 ოქტომბრის საბჭოს მესამე, 78/855/EEC დირექტივა, რომელიც ეფუძნება ხელშეკრულების 54-ე მუხლის 3(გ) ქვეპუნქტს შებენი უწყისობის საჯარო კომპანიების შერწყმის შესახებ, და რომელიც შესწორდა 2007/63/EC და 2009/109/EC დირექტივებით;

ვადა: 78/855/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში;

4.1982 წლის 17 დეკემბრის საბჭოს მეექვსე, 82/891/EEC დირექტივა, რომელიც ეფუძნება ხელშეკრულების 54-ე მუხლის 3(გ) ქვეპუნქტს შებენი უწყისობის საჯარო კომპანიების გაყოფის შესახებ, და რომელიც შესწორდა

2007/63/EC და 2009/109/EC დირექტივებით, ვადა: 82/891/EEC დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში.

5.1989 წლის 21 დეკემბრის საბჭოს მეთერთმეტე, 89/666/EEC დირექტივა, რომელიც ეხება მეორე სახელმწიფოს სამართლით დარეგულირებული გარკვეული კატეგორიების კომპანიების მიერ წევრ სახელმწიფოებში ფილიალების გახსნასთან დაკავშირებით კომპანიის შესახებ ინფორმაციის განსაჯაროების მოთხოვნებს, ვადა: ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ხუთი წლის ვადაში;¹³⁶

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიდან აღსანიშნავია შვეიცარიის საკორპორაციო კანონმდებლობა, რომელსაც აქვს ძალიან მოქნილი საფონდო საკორპორაციო კანონი, რითაც იგი ამაყობს კიდევ, „მთავარი წესი კი მდგომარეობს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე დაყრდნობით და როგორც სამენარმეო, ასევე კომპანიების შესახებ კანონმდებლობა დამყარებული არის სტანდარტულ სავაჭრულ საფონდოებზე წესებს, თუმცა რასაკვირველია არსებობს სავალდებულო დებულებებიც, რომლებიც, კანონმდებლობის გათვალისწინებით, არ შეიძლება ბორდიდან გადაეცეს კომიტეტებს ან საბჭოებს არც ცალკეულ წევრებს, ამასთან, არსებობს სავალდებულო ხასიათის კანონმდებლობაც, რაც ითვალისწინებს აქციონერთა და უმცირესობის უფლებების დაცვას, წლიურ ანგარიშებსა და აუდიტთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.¹³⁷

„ბელგიის საფონდო კორპორაციების შესახებ კანონმდებლობა ღია და თავისუფალია მნიშვნელოვანი ცვლილებებისათვის, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წესდებით შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა ორგანოთათვის კომპეტენციების მინიჭების საკითხი, მიუხედავად აღნიშნულისა, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში არ იყოს მმართველის ძირითადი სადავეები გადაეცეს სხვა ორგანოს. ამასთან, ბელგიის საკორპორაციო კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ დირექტორთა „ინტერესთა კონფლიქტთან“ დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი დებულებები არის მინიმალური მომწესრიგებელი ხასიათის, რომლებიც შეიძლება, რომ გაფარდოვდეს საზოგადოების წესდებაში“.¹³⁸

„საფრანგეთის საფონდო კორპორაციების შესახებ კანონმდებლობა არის შედარებით მკაცრად მომწესრიგებელი კანონმდებლობის. შესაძლებელია, რომ წესდების შესაბამისად, განისაზღვროს რიგი მმართველობითი უფლებამოსილებების, რაც არის

¹³⁶ ასოტირების შესახებ შეთანხმება ერთს მხრე, საქარუფელსა და მეორეს მხრე, ევროკავშირს და ევროპის ატომურ ენერჯის გაერთიანებას და მათწევრსახელმწიფოებს შორის, 2014 წელს 27 ივნისი

¹³⁷ HOPT, k. directors duties and shareholders rights in mandatory and/or default rules.2016. 11.

¹³⁸ HOPT, k. directors duties and shareholders rights in mandatory and/or default rules.2016. 12

საბჭოს კომპეტენცია, გადაეცეს საერთო კრებას, თუმცა, მსგავსად, ბელგიის კანონმდებლობისა, არის კომპეტენციების „დაფა“, რაც განსაზღვრავს აღნიშნულისათვის ზღვრულ ლიმიტებს.¹³⁹

„ევროკავშირის კორპორატიული კანონმდებლობა ხასიათდება შემზღვევით და ჰარმონიზებულია, თუმცა რამდენადაც ჰარმონიზებულია კანონმდებლობა, იმდენადვე ხასიათდება სავალდებულოდ შესასრულებელი წესებით, ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა, წესები კაპიტალის შესახებ, შერწყმა, განსაკუთრებით აქციონერთა უფლებებისა და უმცირესობათა დაცვის წესები.¹⁴⁰

ევროკავშირის “Think Small First” A “Small Business Act” for Europe¹⁴¹ -ის პრეამბულაში იკითხება, რომ ევროკავშირის მთავარი გამოწვევა არის ცოდნაზე დამყარებული სწრაფვა ეკონომიკური აღმავლობისაკენ, ვინაიდან, წარმატებას უზრუნველყოფს დინამიურ ეკონომიკური მდგომარეობა, მეტი დასაქმების ადგილები, სოციალური ერთიანობის მაღალი დონე.¹⁴² მითითებულ აქტზე დაყრდნობით, ევროკავშირისათვის, მომავალი კეთილდღეობის მყარი საფუძველია, მცირე და საშუალო ბიზნესის ინოვაციური პოტენციალის ზრდა და მასზე არსებული შესაძლებლობების დამყარება. „ძლიერი მცირე და საშუალო ბიზნესი გახდის ევროპას უფრო ძლიერს, იმისათვის რომ აღუდგეს დღევანდელ გლობალურ სამყაროში არსებულ გამოწვევებს.¹⁴³

მითითებული აქტი მიზნად ისახავს იმგვარი პოლიტიკის შემუშავებასა და შეხედულებების გაუმჯობესებას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარებას და იმ პრობლემების აღმოფხვრას, რაც ხელის შემშლელი გარემოებაა განვითარების პროცესებში.

ევროკავშირის მსოფლმხედველობა და იდეალები, როგორც მენარმეობის, ასევე, სხვა დარგების თვალსაზრისით არის მისი კეთილდღეობის საფუძველი, მუდმივი სწრაფვა განვითარებისაკენ, ხოლო, მასში განეწინაურება და მისი სამართლებრივი მონესრიგების გაზიარება დაეხმარება, ნებისმიერ ქვეყანას გახდეს უფრო

¹³⁹ იქვე.

¹⁴⁰ HOPT, k. directors duties and shareholders rights in mandatory and/or default rules.2016. 15.

¹⁴¹ COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS; “Small Business Act” for Europe

¹⁴² COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS; “Small Business Act” for Europe , პრეამბულა

¹⁴³ იქვე.

წარმატებული, როგორც სამათლებრივი სფეროს მოწესრიგებით, ისე, აღმასრულებელი საქმიანობის მიმართულებით.

რაც შეეხება კანონპროექტთან შედარებით კონტექსტში, უშუალოდ „ინტერესთა კონფლიქტი“–ს რეგულირებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით, დარგის ექსპერტების ჩართულობით შედგენილ სახელმძღვანელო დოკუმენტზე „საქართველოს მენარმეთა შესახებ კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება“ დაყრდნობით, კანონპროექტისეული რედაქციის 53-ე მუხლის მიერ დადგენილი – იმპერატიული დადგენილი პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის წესები და მოთხოვნა სამეთვალყურეო საბჭომ ან პარტნიორთა კრებამ დაადასტუროს ტრანზაქცია, რომელშიც მონაწილეობს დაინტერესებული მხარე, დოკუმენტზე დაყრდნობით, მოქმედ კანონში მსგავსი დებულება არ არის. უნდა აღინიშნოს რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ კანონში არის დებულება (მუხლი 16-1), რომელიც იძლევა იმავე განმარტებას და მხოლოდ ანგარიშვალდებული საწარმოების შემთხვევაში. რაც შეეხება, ევროდირექტივასა და მასთან შესაბამისობას, ამავე სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, სავარაუდოდ, აღნიშნული რეგულაცია არ მომდინარეობს დირექტივებიდან. ხოლო, მისი მოქმედება ვრცელდება სს-ებზე და განხილულია პრეცედენტული სამართლის ანალიზში.¹⁴⁴

V. დირექტორთა მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების საზღვრები და სახეები

1. გერმანული სამართლის მაგალითზე

„დირექტორები შეიძლება გახდნენ პირადად პასუხისმგებლები მათი მოვალეობების ნებისმიერი ბრალეული დარღვევისთვის. ასეთი მოვალეობები შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებიდან ან კანონმდებლობიდან, ყველაზე ხშირად დარღვევა ვალდებულებებს შორის არის ერთგულების ვალდებულების დარღვევა.“¹⁴⁵

გერმანულ საკორპორაციო სამართალში ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის სუბიექტებს წარმოადგენენ სააქციო საზოგადოების გამგეობისა და სამეთვალყურეო

¹⁴⁴ „საქართველოს მენარმეთა შესახებ კანონპროექტის რეგულირების ზეგავლენის შეფასება“ international school of economics at Tsu policy institute, თბილისი, 2018

¹⁴⁵ Maddisson k. Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis; 2012, 13

საბჭოს წევრები, ხოლო, შპს-ში დირექტორები (ხელმძღვანელები) თუკი არსებობს სამეთვალყურეო საბჭო, მაშინ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებიც.¹⁴⁶

გერმანიის სააქციო კანონის 88-ე მუხლის თანახმად¹⁴⁷, აკრძალულია კონკურენცია, რითაც, მმართველი საბჭს წევრებს, დირექტორთა საბჭოს წევრსა და მმართველ დირექტორს არ აქვს უფლება განახორციელონ ბიზნეს საქმიანობა სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე, ამასთან, შეიძლება რომ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შეიძლება დადგინდეს გარკვეული სახის სამენარმეო საქმიანობის განხორციელებისა, ხოლო, ხელმძღვანელი პირის მიერ, მითითებული პირების დარღვევის შემთხვევაში კომპანიის შეუძლია პირადად მოსთხოვოს პირს ზიანის ანაზღაურება.

გერმანიის სააქციო კანონის 93-ე მუხლიპირველი პუნქტი¹⁴⁸, მმართველო საბჭოს წევრებს აკისრებს საზოგადოების წინაშე ზრუნვისა და პასუხისმგებლობის ვალდებულებას, რაც გულისხმობს, დირექტორთა საბჭოს წევრების მიერ, საწარმოს კეთილსინდისიერად, შრომისმოყვარეობით ხელმძღვანელობას. დირექტორის მიერ, მოვალეობის დარღვევად არ მიიჩნევა თუ ბიზნეს გადაწყვეტილება მიღებული იქნება, გონივრულობის საფუძველზე, საზოგადოების მიმართ სასარგებლოდ მოქმედების მიზნით. დირექტორებს ევალებათ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება, იმ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რაც მისთვის ცნობილი გახდა სავაჭრო ან საქმიანი ურთიერთობების პროცესში. მითითებული კანონის მე-2 პუნქტი ადგენს¹⁴⁹, რომ დირექტორთა საბჭოს წევრებმა, მოვალეობათა დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი უნდა აუნაზღაურონ კომპანიას.

პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ გამგეობის წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან შპს-ს დირექტორი დანიშნული იყო შეცდომით (მაგალითად დანიშვნის აქტი იყო ბათილი). გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არის ერთსულოვნება იმასთან დაკავშირებით, რომ გამგეობის წევრი უთანაბრდება მართლზომიერად დანიშნულს და დანიშვნის აქტის ბათილობა არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისგან, თუკი იგი ამ პერიოდში ახორციელებდა თავის მოვალეობას.¹⁵⁰

გერმანიის კანონმდებლობა დირექტორთა პასუხისმგებლობის საკითხის რეგულირებისას განასხვავებს – პასუხისმგებლობა კომპანიის მიმართ (შიდა

¹⁴⁶ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 140

¹⁴⁷გერმანიის სააქციოკანონის 88 ე პარაგრაფი

¹⁴⁸გერმანიის სააქციოკანონის 93-ე მუხლის პირველ პუნქტი

¹⁴⁹იგივე მე-2 პუნქტი

¹⁵⁰ჭანტურია ლეკონიციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში 2006,

პასუხისმგებლობა) და პასუხისმგებლობა მესამე პირების წინაშე (გარე პასუხისმგებლობა). გარდა ამისა, დირექტორებს შეიძლება ჰქონდეთ ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.¹⁵¹

შიდა პასუხისმგებლობა ემყარება კომპანიაში დირექტორის თანამდებობრივ მოვალეობათა დარღვევას. მმართველი საბჭოს წევრები, როგორც ერთობლივად, ასევე ცალ-ცალკე არიან პასუხისმგებელნი მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, თუ ისინი ვერ გამოიყენებენ გონიერი და გულმოდგინე ხელმძღვანელის მოვალეობებს.¹⁵²

ტერმინი „ერთობლივად“ და ცალ-ცალკე მთლიანად გულისხმობს პასუხისმგებლობათა დაკისრების საზღვრებს. ზიანის ოდენობის ანაზღაურება ეკისრება თითოეულ გენერალურ დირექტორს. გერმანიის უზენაესმა სასამართლომ, მიიღო საინტერესო გადაწყვეტილება კომპანიის ვალდებულებებთან დაკავშირებულ ერთ-ერთ საქმეზე,¹⁵³ სადაც განმარტებულ იქნა, რომ აქციონერთა ინტერესების დაცვა კომპანიის მიზნებს შორისაა და მათ არ უნდა ჰქონდეთ საფრთხის განცდა კაპიტალურ ინვესტიციებთან დაკავშირებით, მხოლოდ იმის გამო, რომ სამენარმეო საქმიანობა ხორციელდება არაგამჭვირვალედ, ეს სტანდარტი ეხება ასევე, დირექტორთა პასუხისმგებლობის საკითხს.¹⁵⁴

ძალიან მცირე და კონკრეტულ შემთხვევებში, აქციონერებს ეძლევათ შესაძლებლობა წარადგინონ სარჩელი გამგეობის კონკრეტული წევრის მიმართ. მათ შეუძლიათ პირადი საჩივრები წარადგინონ კომპანიის დირექტორების მიმართ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. დირექტორების არ განიხილებიან აქციონერთა რწმუნებულებად, რადგან მათ გააჩნიათ თავიანთისახელშეკრულებო უფლებები და მოვალეობები თავად კომპანიის წინაშე.¹⁵⁵

„შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების შესახებ“ გერმანიის კანონის (Gesetz über die Gesellschaft mit beschränkter Haftung) 43-ე მუხლის ადგენს მმართველი დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხს, კერძოდ პირველი პუნქტის თანახმად, მმართველ დირექტორებს ავალდებულებს სამენარმეო საზოგადოების გონივრულად

¹⁵¹ Madisson, k. Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis; 2012;14

¹⁵² Madisson, k. Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis; 2012;14

¹⁵³ Judgment of 05 October 1992- II ZR 172/91; წყარო: Madisson, k. Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis; 2012; 14

¹⁵⁴ იქვე.

¹⁵⁵ Judgment of 05 October 1992- II ZR 172/91; წყარო: Madisson, k. Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis; 2012; 16

მართვის საკითხს, ხოლო, მე-2 პუნქტის შესაბამისად, კი, მმართველ დირექტორებს ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში აკისრებს კომპანიისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.¹⁵⁶

„შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების შესახებ“ გერმანიის კანონის (Gesetz über die Gesellschaft mit beschränkter Haftung) 85-ე მუხლი¹⁵⁷ ითვალისწინებს პასუხისმგებლობას კონფიდენციალურობის მოვალეობის დარღვევასთან დაკავშირებით, შემდეგი სახით:

(1) ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა ისჯება ყველასათვის, ვინც უნებართვოდ გამოავლენს კომპანიის საიდუმლოებას, კერძოდ, კომპანიის ან სავაჭრო საიდუმლოებას, რომლის შესახებ მან შეიტყო მმართველი დირექტორის, წევრის სტატუსით. სამეთვალყურეო საბჭოს ან ლიკვიდატორის.

(2) თუ დამნაშავე მოქმედებს ანაზღაურების ან საკუთარი ან სხვა პირის გამდიდრების ან სხვა ადამიანისთვის ზიანის მიყენების მიზნით, სასჯელის ზომად ითვლება თავისუფლების აღკვეთა ორ წლამდე ან ჯარიმა. ანალოგიურად, ის დაისჯება, ვინც გამოიყენებს 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ტიპის საიდუმლოებას, კერძოდ, სავაჭრო ან სამეწარმეო საიდუმლოებას, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა პირველი პუნქტის პირობებში.

(3) სამართალდარღვევა მხოლოდ კომპანიის მოთხოვნით განიხილება. თუ მმართველმა დირექტორმა ან ლიკვიდატორმა ჩაიდინა ეს ქმედება, სამეთვალყურეო საბჭო და, თუ არ არსებობს სამეთვალყურეო საბჭო, უფლება აქვთ შეიტანონ აქციონერების მიერ დანიშნული სპეციალური წარმომადგენლები. თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა ჩაიდინა ეს ქმედება, მმართველ დირექტორებს ან ლიკვიდატორებს უფლება აქვთ შეიტანონ განცხადება.¹⁵⁸

2.აშშ-ს სამართლის მაგალითზე

ბოლო წლებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში გახმაურებული ფინანსური სკანდალების შედეგად, რომელიც არასწორი ბალანსების შედგენაში გამოიხატა, 2002 წლის 30 ივლისს მიღებულ იქნა ე.წ. Sarbanes – Oxley Act, რომლის თანახმადაც,

¹⁵⁶ „შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების შესახებ“ გერმანიის კანონის (Gesetz über die Gesellschaft mit beschränkter Haftung) 43-ე მუხლი;

¹⁵⁷ „შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიების შესახებ“ გერმანიის კანონის (Gesetz über die Gesellschaft mit beschränkter Haftung) 85-ე მუხლი;

¹⁵⁸ „შეზღუდული პასუხისმგებლობის შესახებ“ გერმანიის კანონი; ხელისაწვდომია: https://www.gesetze-im-internet.de/gmbhg/_85.html;

ბირჟაზე ნოტირებული კორპორაციებისათვის სავალდებულო გახდა აუდიტური კომიტეტის (audit committee) შექმნა, რომლის ფუნქციაა, კორპორაციის საბუღალტრო და საფინანსო საქმის წარმოების შემოწმება¹⁵⁹.

დირექტორების გამონვევა

“აქციონერებს უფლება აქვთ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას გამოიწვიონ ცალკეული დირექტორები ან ყველა დირექტორი ერთად. გამონვევის მნიშვნელოვან საფუძვლად მიიჩნევა, როცა დირექტორმა დაარღვია ნდობა ან განახორციელა რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მაგალითად, ნიუ-იორკის უმაღლესი სასამართლო ნდობის დაღვევად და ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძვლად მიიჩნევს, კონკურენტი საწარმოს შექმნას ანდა ასეთ საწარმოში მონაწილეობას.¹⁶⁰ აქციონერების გარდა, დირექტორის გამონვევის უფლებამოსილება შეიძლება ჰქონდეთ ბორდსაც, თუ კი ეს გათვალისწინებული კორპორაციის წესდებით.¹⁶¹

კანონით განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას, დირექტორების გამონვევა შეუძლია სასამართლოსაც, თუმცა ეს გამონაკლის წარმოადგენს, რამეთუ დირექტორის გამონვევა აქციონერების ექსკლუზიურ უფლებად მიიჩნევა. **სამენარმო კორპორაციების მოდელური კანონი დასაშვებად თვლის დირექტორის გამონვევას სასამართლოს მიერ მხოლოდ იმ შემთხვევაში:**

- ✓ თუ კი მან მოატყუა კორპორაცია;
- ✓ დირექტორის თანამდებობა ბოროტად გამოიყენა;
- ✓ ან კორპორაციას განზრახ მიაყენა ზიანი და მისი გამონვევა შედის კორპორაციის საუკეთესო ინტერესებში¹⁶²

პასუხისმგებლობის სახეები

საერთო სამართლის ნორმების შესაბამისად, “დირექტორები პასუხს აგებენ კორპორაციის წინაშე, თუკი მათი მოქმედება არის *ულტრა ვირეს* (ultra vires), თუკი ისინი აჭარბებენ წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ან/და არღვევენ მათზე დაკისრებულ გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობებს. გარდა საერთო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისა,

¹⁵⁹ ჭანტურია ლეონიდასიძე, *კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელობა* პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში 2006, 117

¹⁶⁰ იგივე, 118.

¹⁶¹ Cox/hazen, *cox & hazen on corporations* (2003), 9.14 (თარგმ. ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, 2006, 118.

¹⁶² იქვე.

დირექტორებს ასევე ეკისრებათ კანონისმიერი პასუხისმგებლობა იმ მოვალეობათა დარღვევისათვის, რომლებიც სხვადასხვა კანონებით (საგადასახადო კოდექსი, ანტიმონოპოლიური კანონი, კანონის რევეტისა და კორუფციული ორგანიზაციების წინააღმდეგ, და ა.შ) არის დადგენილი.¹⁶³

დელავერის შტატის გენერალური საკორპორაციო კანონის (Delaware General Corporation Law) 141-ე მუხლის პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების შესაბამისად, განსაზღვრულია, რომ კორპორაციის საქმიანობა და მენეჯმენტი ხორციელდება დირექტორთა საბჭოს მიერ ან მისი ხელმძღვანელობით, ხოლო, წესდებით, უფლებამოსილების საკითხთან დაკავშირებით დებულებების გათვალისწინების შემთხვევაში, დირექტორთა საბჭოსთვის მინიჭებული ან დაკისრებული მოვალეობანი უნდა განხორციელდეს ან შესრულდეს იმ ზომით ან იმ პირთა მიერ, რომლებიც მოცემულია შესაბამის დოკუმენტაციაში.¹⁶⁴

აღნიშნული მუხლის მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ დირექტორთა საბჭო შედგენა 1 ან მეტი წევრისაგან, რომელთაგან თითოეული ფიზიკური პირია, სხვა საკითხების გარდა, როგორცაა დირექტორის არჩევა, თანამდებობიდან წასვლა ან მათ მიმართ კრიტიკიუმიტა არსებობის საკითხი, აგრეთვე განსაზღვრულია, რომ დირექტორების საერთო რაოდენობის უმრავლესობა წარმოადგენს ქვორუმს ბიზნესის გარიგებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოს დამადასტურებელი მონშობა ან წესდება მოითხოვს უფრო მეტ რაოდენობას. თუ საწარმოს მონშობა სხვა რამ არ არის დადგენილი, წესდება შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ უმრავლესობაზე ნაკლები რიცხვი წარმოადგენს ქვორუმს, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დირექტორთა საერთო რაოდენობის $\frac{1}{3}$ -ზე ნაკლები.¹⁶⁵

მითითებული ჩანაწერის შესაბამისად, ბიზნეს გარიგებისათვის დირექტორთა ქვორუმის საჭიროების პირობა, მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ უზრუნველყოფს ერთგვარად, ბიზნეს გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში უფლებამოსილ მხარეთა ჩართულობას და განხილვის/მსჯელობის პროცესში უფრო გამჭვირვალედ წარმართვას. აქვე საგულისხმოა, რომ ზემომითითებული მუხლის მე-4 პუნქტი ასევე ითვალისწინებს, დირექტორთა საბჭოს მიერ კომიტეტის ან/და ქვეკომიტეტის შექმნას ბიზნეს

¹⁶³ ჭანტურია ლ. კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში თბილისი, 2006, 125

¹⁶⁴ დელავერის შტატის გენერალური საკორპორაციო კანონის (Delaware General Corporation Law) 141-ე მუხლის პირველი მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტები

¹⁶⁵ დელავერის გენერალური საკორპორაციო კანონის 141-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. ხელმისაწვდომია <https://delcode.delaware.gov/title8/c001/sc04/index.html>

გარიგებისათვის¹⁶⁶, განსაზღვრულ შემთხვევებში. რაც უფრო მეტად ფართო განხილვის საფუძველს უქმნის შესაბამის გარიგებებზე მსჯელობის პროცესს.

კანონის 124-ე მუხლი ადგენს, შემთხვევას, როდესაც ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონეს სუბიექტი მოქმედებს ultra vires-ს¹⁶⁷ და მასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ღონისძიებებზე. თუკი დირექტორის გააჭარბებს მინიჭებულ უფლებამოსილებას, შესაძლოა მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს და წარმოეშვას ვალდებულება კომპანიის მიმართ. თუკი ისინი განახორციელებენ ultra vires მოქმედებას, გონივრული და გამართლება უნარიანი რწმენით, რომ მოქმედებენ კომპანიის საკეთილდღეოდ და საქმიანობის ფარგლებში, მაშინ მათი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება. რაც უფრო მაღალი კვალიფიკაცია გააჩნია დირექტორს, მით უფრო დიდი მოთხოვნები და წინდახედულობის სტანდარტი მოქმედებს მის მიმართ.¹⁶⁸

სამართლებრივი შედეგი ერთგულების მოვალეობის დარღვევისათვის ითვალისწინებს, შემდეგს:

- “არამხოლოდ დამდგარი ზიანის ანაზღაურებას, არამედ იმ მოგებისა და გამორჩენის (სარგებლის) უკან დაბრუნებას, რომელიც დირექტორმა მიიღო საკუთარ თავთან გარიგების დადებით ან კორპორაციის კომერციული შანსების გამოყენებით (accounting for profits).
- სასამართლოს შეუძლია დააკისროს დირექტორს, რომ მან არამართლზომიერად შეძენილი ნივთი კორპორაციის სასარგებლოდ მართოს, როგორც მინდობილმა მესაკუთრემ (constructive trust);
- კორპორაციას შეუძლია ასევე მოითხოვოს იმ ზიანის (damages) ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა დირექტორების მიერ ერთგულების მოვალეობის დარღვევის გამო;
- ერთგულების მოვალეობის დარღვევის ერთ-ერთი შესაძლო სამართლებრივი შედეგი არის დირექტორების დათხოვნა თანამდებობიდან (removal for cause):¹⁶⁹

¹⁶⁶ კანონის 141-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁶⁷ კანონის 124-ე მუხლი.

¹⁶⁸ Barnes, Dworkin, Richards, Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 520 (თარგმანა ცერცვაძე, *დირექტორები კომპანიების შეწყვეტისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას*, თბილისი, 2015, 145

¹⁶⁹ Knapp, Die treuepflicht der aufsichtsratsmitglieder von aktiengesellschaften und directors von corporations; S.79-80; თარგმანა: ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 315).

3. დირექტორი პასუხისმგებლობის საკითხი ბრიტანული კანონის – companies act 2006 მიხედვით

“კომპანიების შესახებ“ ბრიტანული კანონზე დაყრდნობით, დირექტორებს გააჩნიათ პირდაპირი მოვალეობა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების საკითხზე, კერძოდ, აღნიშნული კანონის 175-ე მუხლის¹⁷⁰ თანახმად,

ა) „კომპანიის დირექტორმა თავიდან უნდა აირიდოს სიტუაცია, რომელშიც მას აქვს ან შეიძლება პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერესი, რომელიც ეწინააღმდეგება ან შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კომპანიის ინტერესებს;

ბ) ეს განსაკუთრებით ეხება ნებისმიერი ქონების, ინფორმაციის ან შესაძლებლობის ექსპლუატაციას (გადამწვეტი მნიშვნელობისაა, შეიძლებოდა თუ არა კომპანიას ისარგებლოს ქონებით, ინფორმაციით ან შესაძლებლობით)¹⁷¹.

აღნიშნული კანონის მიზნებისათვის ინტერესთა კონფლიქტი დგება მაშინ როდესაც დირექტორი სამენამეო საკითხთან დაკავშირებული ქონების, ინფორმაციის ან შესაძლებლობის გამოყენებისას დაიკმაყოფილებს საკუთარ პირად მატერიალურ ინტერესს, რითაც ართმევს დირექტორ შესაძლებლობას, ისარგებლოს აღნიშნულით. **თუმცა, კანონი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების მოვალეობას ყოველთვის დარღვეულად არ მიიჩნევს, არსებობს გამონაკლისები შემდეგი სახის:**

(ა) გონივრულობის ფარგლებში მდგომარეობა არ შეიძლება შეფასდეს როგორც ინტერესთა კონფლიქტი;

(ბ) თუ ეს საკითხი ავტორიზებულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ.¹⁷²

„კომპანიების შესახებ“ კანონის 170-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიიჩნევს რომ დირექტორის მიერ შესასრულებელ, ზოგადი ხასიათის მოვალეობებს წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის“ თავიდან აცილების მოვალეობა და მესამე მხარისაგან სარგებლის მიღების დაუშვებლობა,¹⁷³ ამასთან, დირექტორმა მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში უნდა იმოქმედო კომპანიის წესდების შესაბამისად და კომპანიის ინტერესთა სასარგებლოდ.¹⁷⁴

დირექტორს კანონისმიერ ვალდებულებებს შორის საინტერესოა – კომპანიისათვის წარმატების მომტანი ქმედებების განხორციელების ვალდებულება, დამოუკიდებლად

¹⁷⁰ Companies act 2006 , 175-ე მუხლი, ხელმისაწვდომია: <https://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/46>

¹⁷¹ ბრტანეთის კომპანიების შესახებ „კანონის 175-ე მუხლი.

¹⁷² ბრტანეთის „კომპანიების შესახებ კანონის“ 175-ე მუხლის მე-4 პუნქტის ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

¹⁷³ ბრტანეთის კომპანიების შესახებ „კანონის 170-ე მუხლი.

¹⁷⁴ ბრტანეთის კომპანიების შესახებ „კანონის 171-ე მუხლი.

განსჯის მოვალეობა, ასევე, გულმოდგინების მოვალეობა, გამოიჩინოს მზრუნველობა, უნარები და მონდომება კომპანიის მართვის პროცესში.¹⁷⁵

„ერთგულების მოვალეობის თანახმად, დირექტორის მიზანი უნდა იყოს მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიისა და სტეიკჰოლდერების საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, მაგრამ აღნიშნული გადაწყვეტილება ეხება მომავალს, ხოლო არავინ იცის რა მოხდება მომავალში და როგორი გადაწყვეტილება მოხვდება იმ კონტურებში/კონტურებში, რომელიც კომპანიის საუკეთესო ინტერესებს შემოფარგლავს. ამიტომ დირექტორს უწევს გარკვეული სახის პროგნოზის გაკეთება, თუმცა, ცხადია, ვერ იქნება დარწმუნებული, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით განვითარდება. ვინაიდან, წარმოუდგენელია, დირექტორს მოთხოვო იმის ცოდნა, თუ რა მოხდება მომავალში, მათ აქვთ საშუალებე მიიღონ გადაწყვეტილება კეთილსინდისიერი რწმენით და სწორედ ასეთი რწმენის საფუძველზე იხელმძღვანელონ. შესაბამისად, ერთგულების მოვალეობიდა გამომდინარე, დირექტორს გულწრფელად და კეთილსინდისიერად უნდა სწამდეს, რომ მოქმედებათა გეგმა კომპანიის საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება, ხოლო, აღნიშნულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ კეთილსინდისიერება გამოხატავს დირექტორის დამოკიდებულებას საქმისადმი, რომელიც წარმოადგენს ერთგულების მოვალეობის განმსაზღვრელს.¹⁷⁶

ბრიტანეთის კომპანიების შესახებ კანონის 260-ე მუხლი (Derivative claims) ითვალისწინებს, რომ აღნიშნული მუხლის მიზნების გათვალისწინებით, **სარჩელის წარდგენა დირექტორის მიმართ ხორციელდება** იმ ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოიშვა ფაქტობრივად, განხორციელებული ქმედებით ან უმოქმედებით, რაც გულისხმობს ხელმძღვანელი პირის მიერ მოვალეობების – გაუფთხილებლობის, ნდობის დარღვევას, ეს ჩანანერი მოქმედებს შემდეგი პირების მიმართ:

ა) მოიცავს ყოფილ დირექტორს (director” includes a former director)

ბ) (a shadow director) ჩრდილში მდგომ დირექტორს;

გ) პირს, რომელიც არ არის კომპანიის წევრი, მაგრამ რომელსაც კომპანიის წილები გადაეცა ან გადაეცა კანონის შესაბამისად.¹⁷⁷

¹⁷⁵ იქვე.

¹⁷⁶ Furlow, Good Faith, Fiduciary Duties and The Business Judgment Rule in Delaware , Utah law Review, #3, 2009, 1070. თარგმნა: ცერცვაძე ლ. „დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას“ თბილისი, 2015.

¹⁷⁷ ბრიტანეთის კომპანიების შესახებ კანონის 260-ე მუხლი

კომპანიების შესახებ ბრიტანეთის კანონის 261-ე მუხლი¹⁷⁸ კი აღგენს, რომ აქციონების მიერ სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო მოსარჩელის მიერ მტკიცებულებების არსებობის/გამოკვლევის გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას საქმის განხილვის ან შეჩერებისა და სათანადო მითითების გაცემის თაობაზე.

4. დირექტორთა პასუხისმგებლობის საკითხი და საზღვრები ქართული სამენარმეო კანონმდებლობის შესაბამისად

4.1. მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად

კანონი, მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის სახით, **ინტერესთა კონფლიქტის გამოვლინებად მიიჩნევს**, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის მქონე პირების მიერ, პარტნიორების თანხმობის გარეშე იგივე საქმიანობის განხორციელებას, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობის მიღება, მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორის ან დირექტორის სტატუსით, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხოლო, თუ **ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისას საზოგადოებას მიადგა ზიანი**, დამრღვევი ვალდებულია დათმოს ამ საზოგადოებიდან გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლება და ანაზღაუროს ზიანი. ამ პირების მიერ საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს სააქციო საზოგადოებაში აქციათა 5%-ის მფლობელ აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, ხოლო ყველა დანარჩენ საზოგადოებაში – თითოეულ პარტნიორს.¹⁷⁹

აღნიშნული მუხლის დეტალური სახით განხილვა იძლევა შესაძლებლობას გამოიკვეთოს კრიტერიუმები რა შემთხვევაში აგებს პასუხის დირექტორი ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებებში მონაწილეობისათვის, კერძოდ, კი:

- ✓ იმ საქმიანობის განხორციელება ან მონაწილეობის მიღება რასაც ეწევა საზოგადოება;
- ✓ აღნიშნულთან დაკავშირებით, უფლებამოსილი ორგანოების თანხმობის არ არსებობა;
- ✓ **ინტერესთა კონფლიქტი წესის დარღვევისას, საზოგადოებისათვის ზიანის მიყენება;**¹⁸⁰

¹⁷⁸ კომპანიების შესახებ ბრიტანეთის კანონის 261-ე მუხლი.

¹⁷⁹ მენარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი

¹⁸⁰ იგივე

ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ კანონმდებელმა მიზანშეწონილად მიიჩნია ზიანის დადგომის აუცილებლობა პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის.

4.2. „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის 45-ე მუხლი პირველი პუნქტის შესაბამისად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისა და სააქციო საზოგადოების ხელმძღვანელ პირებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს პარტნიორთა კრება, თუკი მათი დანიშვნა სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციას, ხოლო, ამავე კანონის პროექტის 46-ე მუხლის თანახმად, საზოგადოებასა და ხელმძღვანელ პირს შორის იდება სასამსახურო ხელშეკრულება, რაც ითვალისწინებს, სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, ხელმძღვანელ პირთა უფლებებსა და მოვალეობს, რომლებიც მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგაც. **მოქმედ კანონთან შედარებით, კონკრეტული სახით განისაზღვრა სასამსახურო ხელშეკრულების საკითხი, ხოლო, მოქმედი კანონი მას როგორც ხელშეკრულებას ისე მოიხსენიებს.**

რაც შეეხება პასუხისმგებლობის საკითხს, „მენარმეთა შესახებ კანონის პროექტი“ ითვალისწინებს ღირეფტორთა პასუხისმგებლობას, მისთვის დაკისრებული უფლებამოვალეობების დარღვევისათვის, კერძოდ:

ა) 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ხელმძღვანელი პირი სამენარმეო საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს კეთილსინდისიერების მოვალეობის ბრალეული დარღვევით მიყენებული ზიანისთვის. დაუშვებელია წესდებით ან პარტნიორთა გადანყვეტილებით შეიზღუდოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა მოვალეობის განზრახ დარღვევისთვის.

ბ) **კანონპროექტი, მოქმედ კანონთან განსხვავებით კანონისაგან ადგენს, საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვის წესს,** ¹⁸¹ 1. ხელმძღვანელ პირს არ აქვს უფლება, სამენარმეო საზოგადოების წინასწარი თანხმობის გარეშე, პირადი ან საზოგადოების გარდა სხვა პირთათვის სარგებლის მისაღებად ისარგებლოს სამენარმეო საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქმიანი შესაძლებლობით, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა მოვალეობის შესრულებისას ან თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე და რომელიც,

¹⁸¹მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის 55-ე მუხლი; ხელმისაწვდომია; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>

გონივრული თვალსაზრისით, სამენარმეო საზოგადოების ინტერესის საგანი შეიძლება ყოფილიყო. წინასწარი თანხმობის მიღება არ არის საჭირო, თუ პარტნიორთა კრებამ ან სამეთვალყურეო საბჭომ უკვე იმსჯელა აღნიშნულ შესაძლებლობაზე და უარი თქვა მის გამოყენებაზე. ეს ვალდებულება ძალაში რჩება არაუმეტეს ამ პირის თანამდებობიდან წასვლის მომენტიდან 3 წლისა. სასამსახურო ხელშეკრულებით შეიძლება შეთანხმდეს ნაკლები ვადა.¹⁸²

რაც შეეხება აღნიშნული წესის დარღვევისათვის ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხს, კანონპროექტის 55-ე მუხლის შესაბამისად, სამენარმეო საზოგადოებას შეუძლია დამრღვევისგან მოითხოვოს ამ დარღვევით სამენარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის (მათ შორის მიუღებელი შემოსავლის) ანაზღაურება და შეთანხმებული პირგასამტეხლო. სამენარმეო საზოგადოებას შეუძლია, ზიანის ანაზღაურებისა და პირგასამტეხლოს ნაცვლად, დამრღვევისგან მოითხოვოს საკუთარი ან მესამე პირის სახელით დადებული გარიგებიდან დამრღვევის მიერ მიღებული სარგებლის სამენარმეო საზოგადოებისთვის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა.¹⁸³

წინამდებარე ნაშრომის კონტექსტისათვის, განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია, მოქმედ კანონთან შედარებით, „ინტერესთა კონფლიქტის“ განმარტებისათვის, კანონპროექტში გათვალისწინებული 56-ე მუხლი¹⁸⁴, რომელმაც:

- ✓ განსაზღვრა ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებაში მონაწილე დაინტერესებული პირის ვინაობა, რითაც უზრუნველყო გარკვეულწილად, ამგვარი გარიგებების გამოვლენისას, როგორც საკითხის უფრო უკეთ გამოკვლევა, ასევე ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხი;
- ✓ უფრო დეტალური სახით დაადგინა, რომ ხელმძღვანელი პირი ან ხმათა 20 პროცენტის ან მეტის მფლობელი პარტნიორი ვალდებულია პარტნიორთა კრებას ან სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო მონისტურ სისტემაში პარტნიორთა კრებას ან ხელმძღვანელ ორგანოს ფაქტის შეტყობისთანავე აცნობოს დადებული ან დასადები ისეთი გარიგების თაობაზე, რომლის მიმართ ის დაინტერესებული პირია, ასევე მისი დაინტერესების ხასიათზე.

¹⁸²მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის 55-ე მუხლი; ხელმისაწვდომია; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>

¹⁸³მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის 55-ე მუხლის მე-3 პუნქტი; ხელმისაწვდომია; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>

¹⁸⁴მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის 56 -ე მუხლი ხელმისაწვდომია; <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>

- ✓ ხოლო, უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან, თანხმობის გაცემის შემთხვევაში, დაადგინა ამგვარი გადაწყვეტილების შინაარსობრივი მხარეც, რაც მოიცავს, დაინტერესებული პირის დაინტერესების ხასიათს და გარიგებასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან პირობებს,¹⁸⁵

კანონპროექტი ასევე შეიცავს მნიშვნელოვან პირობას, განსხვავებით მოქმედი კანონისა, რაც გულისხმობს, კანონპროექტის 56-ე მუხლის მე-9 მუხლის შემდეგ ჩანაწერს:

„ამ მუხლით (იგულისხმება ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი 56-ე მუხლი) გათვალისწინებული წესების დარღვევით გარიგების დადების შემთხვევაში, დამრღვევი ვალდებულია, ანაზღაუროს სამეწარმეო საზოგადოებისთვის ამ გარიგების დადებით ან მისი შესრულებით მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისას გარიგება დაიდებოდა არსებითად იგივე პირობებით.“¹⁸⁶

კანონპროექტისათვის სხვა საკითხების გარდა, მნიშვნელოვანია, კომპანიის ინტერესების დაცვის აუცილებლობა, ხოლო, ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში, ვალდებული პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მათ შორის, სამომავლოდ იმგვარი პირობის აუცილებლობაც, რაც პასუხისმგებლობას აარიდებს შესაბამის სუბიექტს, იმდენად, რომ განისაზღვრა 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის სახით შემდეგი: „წესდებით ან სასამსახურო ხელშეკრულებით არ შეიძლება გამოირიცხოს ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობა ვალდებულების განზრახ დარღვევით სამეწარმეო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანისთვის.“¹⁸⁷

ამრიგად, წინამდებარე ნაშრომის მიზნებისათვის რომ განიმარტოს, რა უპირატესობა გააჩნია მოქმედ სამართლებრივ აქტთან შედარებით, კანონპროექტის არსებულ რედაქციას, უნდა განიმარტოს, რომ, შემუშავებულმა პროექტმა განსაზღვრა:

1. უშუალოდ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მოვალეობა, , როგორც ხელმძღვანელი ორგანოს წევრის მიერ საზოგადოების შესაბამისი ორგანოსათვის ისეთი გარიგების შესახებ შეტყობინების ვალდებულება, რომელშიც ის დაინტერესებულ პირს წარმოადგენს. აღნიშნული წესის დარღვევა წარმოშობს საზოგადოების მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.¹⁸⁸

¹⁸⁵მეწარმეთა შესახებ კანონის პროექტის 56-ე მუხლის 1-6 პუნქტების შესაბამისად.

¹⁸⁶მეწარმეთა შესახებ კანონპროექტის 56-ე მუხლის მე-9 პუნქტი; ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4962987?publication=0>

¹⁸⁷იგივე.

¹⁸⁸იგივე.

2. კონკურენციის აკრძალვას, რომელიც ხელმძღვანელი ორგანოს წევრს უკრძალავს სამენარმეო საზოგადოების თანხმობის გარეშე იგივე საქმიანობის განხორციელებას, რომელსაც ეწევა სამენარმეო საზოგადოება, ასევე უკრძალავს, იყოს მსგავს სფეროში მოქმედი სამენარმეო საზოგადოების ხელმძღვანელი პირი.¹⁸⁹ კონკურენციის აკრძალვის წესის დარღვევა წარმოშობს საზოგადოების მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, ან დადებული გარიგებიდან მიღებული ან მისაღები სარგებლის დათმობის უფლებას;

3. საქმიანი შესაძლებლობის მითვისების აკრძალვა, რომლის ფარგლებშიც ხელმძღვანელი ორგანოს წევრს ეკრძალება, სამენარმეო საზოგადოების წინასწარი თანხმობის გარეშე პირადი სარგებლის მისაღებად გამოიყენოს სამენარმეო საზოგადოების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ის საქმიანი შესაძლებლობა, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი გახდა თავისი მოვალეობის შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო და რომელიც, გონივრული თვალსაზრისით, შესაძლებელია სამენარმეო საზოგადოების ინტერესის საგანი ყოფილიყო. აღნიშნული წესის დარღვევა წარმოშობს საზოგადოების მხრიდან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის, ან დადებული გარიგებიდან მიღებული ან მისაღები სარგებლის დათმობის უფლებას.¹⁹⁰

ამრიგად, ნეიტრალური მხარისათვის ნათელია ის მნიშვნელოვანი უპირატესობები, რაც გააჩნია მოქმედ კანონთან შედარებით მენარმეთა შესახებ კანონის პროექტს, თუმცა იმ პირებისათვის რომელთა კანონიერ ინტერესზე პირდაპირ პროპორციულად აისახება საკითხის ეფექტურად მოკლე ვადასა და სწორი ფორმულირებით გადაჭრა, უფრო ხელშესახებია განსხვავებათა ეფექტურობა.

VIII. სასამართლო პრაქტიკა

დელავერის ბოლო სასამართლო პრაქტიკა იძლევა სასარგებლო მითითებებს პოტენციური კონფლიქტების მართვის ვარიანტების შესახებ. ეს შემთხვევები ცხადყოფს, რომ კონფლიქტების შერბილება შესაძლებელია გამგეობის ან აქციონერების ქმედებებით და რომ კონფლიქტების მართვის ასეთი ზომები უნდა იყოს მორგებული გარემოებებზე. ეს პოსტი ეხება დელავერის სასამართლოების მითითებებს იმ ზომებთან დაკავშირებით, რომელთა განხორციელებაც შესაძლებელია საბჭოს დონეზე შესაძლო კონფლიქტების სამართავად, მათ შორის უანგარო და დამოუკიდებელი

¹⁸⁹მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის 54-ე მუხლს შესაბამისად

¹⁹⁰მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტის 55-ე მუხლი;

დირექტორების როლი, თავშეკავებებისა და აცილებების შედეგები და დამოუკიდებელი კომიტეტის გამოყენება. სასამართლოს მითითებები განსაკუთრებით ღირებულია ბაზრის ამჟამინდელი გამონვევების გათვალისწინებით, რომლებიც მინიმუმ ზოგიერთ კომპანიას უბიძგებს განიხილოს ინსაიდერული გარიგებები და გარიგებები დაბალი ან გაურკვეველი შეფასებით, რამაც შეიძლება გააფართოოს თვითდასაქმების დიაპაზონი და გამოიწვიოს დავა, რომელიც ნაკლებად სავარაუდოა.¹⁹¹

კორპორაციებისა და კაპიტალის ბაზრის შესახებ კოლუმბიის სამართლის სკოლის¹⁹² მიერ ელექტრონულ წყაროზე გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, დელავერი განიხილავს კორპორაციულ სამართალს დაფაზე ორიენტირებული ობიექტივიდან. ეს საფუძვლად უდევს მკაცრი განხილვისა და დამოუკიდებელი პერსპექტივების ჩართვის პოლიტიკას, თუნდაც იმ მიზნობრიობით, რომ ხელს შეუწყოს განსხვავებული მოსაზრებების არსებობას. ამრიგად, როდესაც ზოგიერთ დირექტორს შეიძლება ჰქონდეს კონფლიქტის შემქმნელი ინტერესი საბჭოს გადაწყვეტილების მიღებისას, დელავერის კანონმდებლო ითვალისწინებს „გარიყული“ დირექტორების პროცესებში აქტიურად ჩართვის საკითხს.

განხილვაში არსებულ ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა 263 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის კერძო კომპანიის Dealersocket, Inc. დაფინანსებას¹⁹³, სასამართლომ დაადგინა, რომ ორი თანადამფუძნებელი, რომლებიც იყვნენ დირექტორები და არ იყვნენ გაერთიანებული უმრავლესობის აქციონერებთან, შეძენისა და დაფინანსების საკითხთან დაკავშირებული განხილვებისგან იყვნენ გარიყულები, ისე, რომ დაინტერესებული დირექტორები "ეფექტურად მოქმედებდნენ როგორც ჩრდილში მდგომი საბჭო". სასამართლომ კრიტიკულად შეაფასა ეს სავარაუდო "გეგმა, და სანამ საქმესთან დაკავშირებით მიიღებდა გადაწყვეტილებას, აღნიშნა, რომ დელავერი არის "ბორდზე ორიენტირებული სისტემა". წინასწარი ჩანაწერის თანახმად, აღმოჩნდა, რომ ინსაიდერები „საკმარის პატივს არ სცემდნენ დირექტორებს, რომელთაც სურდათ მეტი ინფორმაციის მიღება და გარიგების

¹⁹¹By Nate Emeritz, Brian Currie and Jason Schoenberg; ხელმისაწვდომია: <https://clsbluesky.law.columbia.edu/2020/09/04/recent-delaware-cases-on-how-boards-can-manage-conflicts/>

¹⁹² COLUMBIA LAW SCHOOL'S BLOG ON CORPORATIONS AND THE CAPITAL MARKET; ხელმისაწვდომია :<https://clsbluesky.law.columbia.edu/2020/09/04/recent-delaware-cases-on-how-boards-can-manage-conflicts/>

¹⁹³ Perry v. Sheth, C.A. No. 2020-0024-JTL (Del. Ch. 2020 წლის 17 იანვარი) (TRANSCRIPT); ხელმისაწვდომია: <https://clsbluesky.law.columbia.edu/2020/09/04/recent-delaware-cases-on-how-boards-can-manage-conflicts/>

პროცესებში ჩართულობა.¹⁹⁴ მითითებული ქეისით სასამართლომ ხაზი გაუსვა დელავერის შტატის საკორპორაციო სამართლის სტაბილურობის შენარჩუნებისა და გავლენების საზღვრების მნიშვნელობას, იმ კუთხით, რომ სამართლისათვის დამახასიათებელი პრინციპები, გუნდურობის დაცვის აუცილებლობა, უნდა იქნას დაცული და შესრულებული პროცესის მონაწილე სუბიექტების მხრიდან, რაც სასამართლომ იგულისხმა ტერმინის დელავერი არის **”ბორდზე ორიენტირებული სისტემა”** (“Delaware is a “board-centric system”).

“Case: Towers Watson & Co. და Willis Group Holdings Public Limited Company. ქალაქი Ft. Myers General Employees's საპენსიო ფონდი ჰეილის წინააღმდეგ, 2019 წლის No368 (სამსახურიდან გათავისუფლების შეცვლა, დაკავშირებული შეფასების მოქმედების ფართო აღმოჩენის შემდეგ) დელავერის უზენაესმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა გულწრფელი განხილვის მნიშვნელობაზე უანგარო ღირებულებების მონაწილეობით, 18 მილიარდი დოლარის ოდენობის საზოგადოებრივი გაერთიანების ტოლერებით შერწყმის თაობაზე, მოლაპარაკებებს აწარმოებდა Towers- ის აღმასრულებელი დირექტორი (რომელიც ასევე იყო დირექტორი).¹⁹⁵

სასამართლომ დაადგინა, რომ “Towers- ის არდაინტერესებულმა დირექტორებმა არ იცოდნენ, რომ Towers- ის აღმასრულებელ დირექტორს ფასთა მოლაპარაკებების დროს შესთავაზეს ხუთჯერ გაზრდა მისი ამჟამინდელი კომპენსაციის პაკეტის შესახებ შეთანხმების შემდეგ სამი წლის განმავლობაში (დაახლოებით 24 მილიონიდან 140 მილიონ დოლარამდე). მართალია, სასამართლომ აღნიშნა, რომ ტოლფასი აქციონერების ბაზრების ტოლი შერწყმა, როგორც წესი, მიიღებს ბიზნესის განაჩენის პატივისცემას და მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ შეიძლება მიიღო, რომ აღმასრულებელმა დირექტორმა შეინარჩუნა Towers- ის საბჭო ზოგადად მოლაპარაკებების პროცესში, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღმასრულებელი დირექტორის ღრმა ინტერესი გარიგებისადმი დაუდგენელი და მნიშვნელოვანი იყო გონივრული დირექტორისათვის. ამრიგად, **სასამართლომ დაასკვნა, რომ აღმასრულებელმა დირექტორმა მისი მატერიალური ინტერესის გაუმჟღავნებლობის კონტექსტით გავლენა იქონია საბჭოს მიმართ პატივსადებ დამოკიდებულებაზე.** სასამართლომ შემდგომ განმარტა, რომ ასეთ ვითარებაში სხვა დირექტორებმა უნდა იცოდნენ კონფლიქტის ზუსტი ხასიათი და სათანადო

¹⁹⁴ იქვე.

¹⁹⁵ Perry v. Sheth, C.A. No. 2020-0024-JTL (Del. Ch. 2020 წლის 17 იანვარი) (TRANSCRIPT);

ხელმისაწვდომია: <https://clsbluesky.law.columbia.edu/2020/09/04/recent-delaware-cases-on-how-boards-can-manage-conflicts/>

მეთვალყურეობა გაუწიონ კონფლიქტს.¹⁹⁶ მოშველიებულ სტატიაში შემაჯამებელი სახით, იქნა აღნიშნული, რომ განხილულ სასამართლო შემთხვევებში დირექტორთა მიერ გამოვლენილი ქმედებანი არ იყო უბრალოდ პატიოსნებისა და გამჭირვალე ქმედებათა მიღმა, თუმცა, დამოუკიდებელ დირექტორებს ჰქონდათ შესაძლებლობა განეხორციელებინათ ზედამხედველობა მიმდინარე პროცესებში. ასევე ხაზი იქნა გასმული ხელმძღვანელობითი საქმიანობისას იმ დირექტორების ჩართულობის მნიშვნელობაზე, რომელთაც არ გააჩნია რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი გარიგებების მიმართ, რადგან, მათ მიერ შესაძლებელია წარმატებით იქნას მოძიებული ალტერნატიული გზები. მათი ხმების დაკარგვის შემთხვევაში, შესაძლებელია გაძლიერდეს ინსაიდერების სხდომისგარე საუბრები, რაც შეიძლება მიჩნეულ იქნას ჩრდილში მდგომ ბორდის სახით.¹⁹⁷

მნიშვნელოვანია განხილულ იქნას ქართული სასამართლო პრაქტიკა დირექტორების მიერ მოვალეობის დარღვევასთან დაკავშირებით, შემდეგი პრაქტიკული მაგალითების მოშველიებით:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმესთან №2ბ/1277-16 (06 იანვარი, 2017 წელი) დაკავშირებით, რაც ეხებოდა დირექტორის მიმართა დერივაციული სარჩელის წარდგენას, კერძოდ, საწარმოს პარტნიორი ითხოვდა საწარმოს სასარგებლოდ დირექტორისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებას. სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტორმა დაარღვია ფიდუციურ მოვალეობები, კერძოდ, არ ამოიღო საწარმოს მიმართ არსებული ფულადი ვალდებულებები კანონით დადგენილ ვადაში, ხოლო შემდგომ ეს მოთხოვნები გახდა ხანდაზმული. **სარჩელი დაკმაყოფილდა. სასამართლოს განმარტებით, თუ დირექტორი არ მოითხოვს საწარმოს წინაშე არსებული ვალდებულებების შესრულებას კანონით დადგენილ ვადაში, რის გამოც ეს მოთხოვნები გახდება ხანდაზმული, დირექტორი დაარღვევს თავის ფიდუციურ მოვალეობებს და მას კომპანიის სასარგებლოდ დაეკისრება**

¹⁹⁶ Recent Delaware Cases on Managing Conflicts: Board-Level Measures; By [Nate Emeritz, Brian Currie and Jason Schoenberg](#) September 4, 2020;

ხელმისაწვდომია: <https://clsbluesky.law.columbia.edu/2020/09/04/recent-delaware-cases-on-how-boards-can-manage-conflicts/>

¹⁹⁷ ხელმისაწვდომია: <https://clsbluesky.law.columbia.edu/2020/09/04/recent-delaware-cases-on-how-boards-can-manage-conflicts/>

დამდგარი ზიანის ანაზღაურება. (გამოყენებულ იქნა მენარმეთა შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი და 46-ე მუხლის მე-5 პუნქტი).¹⁹⁸

2.საქართველოს უზენაესი სასამართლო საქმის №ას-687-658-2016 (06 ნოემბერი, 2018 წელი) მოსამართლეები: ზურაბ ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი), ეკატერინე გასიტაშვილი, ბესარიონ ალავეიძე) მთავარი საკვანძო საკითხი იყო **კომერციული შესაძლებლობის დაკარგვა და ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია**. გამოყენებულ იქნა მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები, 47-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 56-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

სასამართლომ განმარტა, რომ დერივაციული სარჩელი წარმოადგენს დირექტორთა კორპორაციული ანგარიშვალდებულების მექანიზმს. დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელს უწოდებენ აქციონერის/პარტნიორის მიერ ინიცირებულ მოთხოვნას, რომელსაც იგი წარადგენს კორპორაციის სასარგებლოდ და კორპორაციის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ. დერივაციული სარჩელის წარდგენისას მოსარჩელე გამოდის სანარმოს წარმომადგენლად.¹⁹⁹

მითითებულ სასამართლო პრეცედენტებზე დაყრდნობით, უნდა აღინიშნოს რომ სასამართლოს შესაბამისი საფუძველების არსებობის შემთხვევაში ადგეს დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხს, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს მე-9 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებზე დაყრდნობით, რაც წარმოადგენს მთლიანი ნორმატიული აქტისათვის, დირექტორის მოვალეობათა ერთგვარ ქვაკუთხედ და დასაყრდენ საშუალებას. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს მოქმედი კანონის რედაქტირების აუცილებლობას, მოცემულ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის დამატებითი რეგულირების თვალსაზრისით.

დასკვნა

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია, ნებისმიერ გულმოდგინე დირექტორს ავალდებულებს კეთილსინდისიერების, ზრუნვისა და გულმოდინების გამოჩენას სანარმოს მმართველობის პროცესში²⁰⁰, ამასთან, აკისრებს, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების მოვალეობას²⁰¹, თუმცა, კანონის მიზნებისთვის არ არის მონესრიგებული დეტალური სახით, რას გულისხმობს ტერმინი

¹⁹⁸წყარო:თოდუა უ. „მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებში, თბილისი, 2019.გვ.397

¹⁹⁹წყარო:თოდუა უ. „მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებში, თბილისი, 2019.გვ.520

²⁰⁰მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტი

²⁰¹მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი

„ინტერესთა კონფლიქტი“, რაც ერთგვარად ართმევს შესაძლებლობას პროცესის მონაწილე მხარეებს, განსაზღვრონ საქმის რეალური არსი და პასუხისმგებლობის საკითხი, ხოლო, დავის წარმოშობის შემთხვევაში, სასამართლო „იძულებულია“, სამართლებრივი მსჯელობა წარმართოს „ინტერესთა კონფლიქტი“-ს შემცველი გარიგებების შესახებ წარმოშობილ დავაზე ზოგადი ხასიათის სამართლებრივი ნორმების ირგვლივ. სამართლებრივი ტერმინის კანონისმიერად უფრო მეტად განმარტების საკითხს აუცილებელს ხდის ის გარემოებაც, რომ მოქმედი კანონი მიუხედავად იმისა, რომ კრძალავს „ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებებში“ დირექტორის მონაწილეობას, დასაშვებადაც მიიჩნევს აღნიშნულს, გარიგებასთან დაკავშირებით, უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან თანხმობის გაცემის, შემთხვევაში.

„ინტერესთა კონფლიქტად“ კანონი მიიჩნევს და თანხმობის გაცემასაც ითვალისწინებს შემდეგ შემთხვევებზე: „ამ მუხლის პირველ პუნქტში დასახელებულ პირებს არა აქვთ უფლება, პარტნიორების თანხმობის გარეშე განახორციელონ იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა საზოგადოება, ან მონაწილეობა მიიღონ, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა, თუ წესდებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული (ინტერესთა კონფლიქტი)“²⁰². ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგების ამგვარი ვიწრო სახით დადგენა და მასზე თანხმობის გაცემას, სასამართლოს ართმევს შესაძლებლობას მიიღოს სამართლებრივად გამართული და ჯეროვანი გადაწყვეტილება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესთა კონფლიქტის შემცველ გარიგებებთან დაკავშირებით თანხმობის გაცემის საკითხი შესაძლებელია გამართლებულ იქნას, უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან, საწარმოს სამომავლო სამენარმეო ინტერესების შესაძლო სასარგებლო ქმედებად მიჩნევით.

წინამდებარე ნაშრომში განხილულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების, განსაკუთრებით დელავერის შტატის მაგალითზე დაყრდნობით, ასევე გერმანიის სამართლებრივი მოწესრიგება დირექტორის ვალდებულებებთან და ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგებების გამოვლენისას მათი პასუხისმგებლობის საკითხთან დაკავშირებით, აგრეთვე, „მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონისპროექტით შემოთავაზები რედაქციითა. შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქართული სამენარმეო სამართალი ცდილობს გაიზიაროს ის პოზიტიური გამოცდილება რაც გააჩნია ამერიკის საკორპორაციო კანონმდებლობას, სხვა ქვეყნის სამართლებრივ მოწესრიგებასთან შედარებით, თუმცა გზა ჯერ კიდევ გასავლელია და

²⁰² იგივე

სამომავლ განსხორციელებელმა ცვლილებებმა უნდა აჩვენოს პრაქტიკაში განხორციელების ეფექტურობა.

ამრიგად, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონით შემოთავაზებული რედაქციის, მოქმედ კანონთან შედარებით, გამოიკვეთა პოზიტიური მიმართულებები, რაც გააჩნია მას (უფრო კონკრეტული და ფართო რეგულირებით), წინამდებარე ნაშრომის თემატიკის გათვალისწინებით შემდეგი:

1. ცალკეული მუხლის დაეთმო „ინტერესთა კონფლიქტს“, მონესრიგდა უფრო დეტალური სახით ვიდრე აქამდე იყო.
2. კონკრეტული მუხლი დაეთმო „კეთილსინდისიერების ვალდებულებას, კონკურენციის აკრძალვას, საქმიანის შესაძლებლობის აკრძალვას;
3. გაჩნდა ტერმინი სამენარმეო გადანაცვტილების თავისუფლება, რაც აქამდე არ იყო რეგულირებული;
4. განისაზღვრა სასამსახურო ხელშეკრულების მნიშვნელობა, აქამდე მოქმედი კანონი მას იხსენიებდა როგორც ხელშეკრულებას.

გარდა, პოზიტიური სამართლებრივი სიახლეებისა, მიზანშეწონილია, განისაზღვროს რეკომენდაციები საქართველოს კანონის „მენარმეთა შესახებ“ პროექტთან დაკავშირებით, მოქმედ კანონთან შედარებით, იმ ხარვეზებზე რაც გამოიკვეთა წინამდებარე ნაშრომის მომზადების პროცესში:

1. კანონის პროექტის 56–ე მუხლის მე–9 პუნქტით განისაზღვრა, რომ ინტერესთა კონფლიქტის შემცველი გარიგების დადების შემთხვევაში, დამრღვევი ვალდებულია, აანაზღაუროს სამენარმეო საზოგადოებისთვის ამ გარიგების დადებით ან მისი შესრულებით მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისას გარიგება დაიდებოდა არსებითად იგივე პირობებით.

1. მიზანშეწონილია, ამ პუნქტის მიზნებისათვის განიმარტოს, „გარიგების არსებითად იგივე პირობებით“ დადების საკითხის გარდაუვალობა ანუ ფართო კონტექსტით განიმარტოს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შესაძლოა გარიგებით ზიანი მიადგეს საზოგადოებას.

2. მენარმეთა შესახებ კანონი, მსგავსად მენარმეთა შესახებ კანონპროექტისა არ ითვალისწინებს გენდერული ბალანსის საკითხის უზრუნველყოფას გერმანიის სააქციო კანონის 76–ე მუხლისაგან განსხვავებით, დირექტორთა საბჭოში ქალ მენეჯმენტთა

მონაწილეობასთან დაკავშირებით, შესაბამისად, მიზანშეწონილია, აღნიშნულიც იქნას გათვალისწინებული კანონპროექტში.

ყოველივე მითითებული კიდეც ერთხელ ადასტურებს მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტით განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტის მნიშვნელობას სამართლებრივი რეგულირების აუცილებლობას, სამენარმეო სამართლის უფრო ეფექტური განვითარებისათვის.

საქართველო, როგორც ევროპული ინტეგრაციის გზაზე მყოფი სახელმწიფო, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების²⁰³ ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ მოიპოვოს ღირსეული წევრი ქვეყნის ადგილი, ვალდებულია, გაიზიაროს ევროპული მისწრაფებები და სამართლებრივი მიღწევები, მათ, შორის, საკორპორაციო სამართლის მიმართულებით, რაც გაზრდის ეროვნულ დონეზე ინვესტიციათა მოზიდვის ხარისხის გაუმჯობესებას, გაძლიერდება ნდობის ხარისხი ქართული მართლმსჯულების მიმართ, ამასთან, გაიზრდება ცნობიერება, როგორც სამენარმეო სფეროში მოღვაწე სუბიექტებისა, აგრეთვე, მათთან სამსახურებრივად დაკავშირებული მესამე პირებისა. ყოველივე მითითებული კი, ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად, ეკონომიკურ გაძლიერებას.

ბიბლიოგრაფია

საკანონმდებლო აქტები

საქართველოს კონსტიტუცია

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი

კომერციული ბანკების შესახებ საქართველოს კანონი

მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პროექტი

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონი

²⁰³ „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ საქართველოს, ევროპის კავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას შორის შეთანხმება.

სამეცნიერო ლიტერატურა

ცერცვაძე ლ. „დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას“, თბილისი, 2015,

საქართველოს მენარმეთა შესახებ კანონპროექტის რეგულირების ზეგავლების შეფასება, თბილისი, 2018 წელი,

ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006

ჯულელი, გ. „კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში“, თბილისი 2010.

გაბრიჩიძე გ. „ევროპული კავშირის სამართალი“, თბილისი, 2012

სხვა ლიტერატურა

„ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ საქართველოს, ევროპის კავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას შორის შეთანხმება.

უცხოური ლიტერატურა

სამართლებრივი აქტები

„სამწარმო კორპორაციების შესახებ“ ამერიკის შეერთებული შტატების კანონი Model Business Corporation Act (2016 Revision) (December 9, 2016);

Aktiengesetz, გერმანიის სააქციო კანონი

გერმანიის კანონი „შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოების შესახებ“ (GmbHG)

Companies act 2006 ბრიტანული კანონი

THE TREATY ON THE FUNCTIONING OF THE EUROPEAN UNION; ხელმისაწვდომია: <https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:12012E/TXT:en:PDF>

COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE COUNCIL, THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS; “Small Business Act” for Europe

დელავერის გენერალური საკორპორაციო კანონის 141–ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

ხელმისაწვდომია <https://delcode.delaware.gov/title8/c001/sc04/index.html>

სამეცნიერო ლიტერატურა

Madisson k., Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis”, 2012, ხელმისაწვდომია: <https://www.rgsl.edu.lv/uploads/research-papers-list/16/7-karin-madisson-final.pdf>

HOPT, k. directors duties and shareholders rights in mandatory and/or default rules.2016.

Company Directors' Responsibilities to Creditors, Routledge-Cavendish, New York, 2007, 4(თარგმნა ცერცვაძე ლ.დირექტორათის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას)

Neville , Sorenson, (Edit) Company Law and SMEs, Thomson Reuters Professional, Copenhagen, 2010, 146 (თარგმნა ცერცვაძე ლ.დირექტორათის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას) გვერდი 15

Block/barton/Radin, the business judgment rule.fiduciary dutiesof corporate directors. Fifth edition. Volume i.p.9-12(თარგმ. ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006,

Oltmanns, Geschäftsleiterhaftung und unternehmerisches Ermessen; &42-43; (თარგმ. ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006,)

A.C.acquisitions corp. v. Anderson, clayton &co. 519 2d. 103, 111 (del. Ch.1896) Oltmanns, Geschäftsleiterhaftung und unternehmerisches Ermessen; 35; (თარგმ. ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 222).

Grundeis, Jens/v. Werder, Axel: Die Angemessenheit der Informationsgrundlage als Anwendungsvoraussetzung der Business Judgment Rule. S. 834.

https://www.americanbar.org/content/dam/aba/administrative/business_law/corplaws/2016_mbca.pdf

Knapp, Die treuepflicht der aufsichtsratsmitglieder von aktiengesellschaften und directors von corporations; S.76–77. (თარგმნა: ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 313).

კროპპოლერი, ი. „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი“© GIZ,2014

Barnes, Dworkin, Richards, Law For Business, 12th Ed, McGraw-Hill Education, New York, 2014, 520 (თარგმნა ცერცვაძე, ლ. დირექტორატი მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, თბილისი, 2015,

Furlow, Good Faith, Fiduciary Duties and The Business Judgment Rule in Delaware , Utah law Review, #3, 2009, 1070. თარგმნა: ცერცვაძე ლ. „დირექტორატის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას“ თბილისი, 2015

COLUMBIA LAW SCHOOL'S BLOG ON CORPORATIONS AND THE CAPITAL MARKET;
ხელმისაწვდომია :<https://clsbluesky.law.columbia.edu/2020/09/04/recent-delaware-cases-on-how-boards-can-manage-conflicts/>

Perry v. Sheth, C.A. No. 2020-0024-JTL (Del. Ch. 2020 წლის 17 იანვარი) (TRANSCRIPT);
ხელმისაწვდომია: <https://clsbluesky.law.columbia.edu/2020/09/04/recent-delaware-cases-on-how-boards-can-manage-conflicts/>

სასამართლო გადაწყვეტილებები

საქართველოს უზენაესი სასამართლო საქმის №ას-687-658-2016 (06 ნოემბერი, 2018 წელი) თოდუა უ. „მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებში, თბილისი, 2019

თბილისის სააპელაციო სასამართლო საქმესთან №2ბ/1277-16 (06 იანვარი, 2017 წელი)თოდუა უ. „მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებში, თბილისი, 2019

Recent Delaware Cases on Managing Conflicts: Board-Level Measures; By Nate Emeritz, Brian Currie and Jason Schoenberg September 4, 2020;
ხელმისაწვდომია:<https://clsbluesky.law.columbia.edu/2020/09/04/recent-delaware-cases-on-how-boards-can-manage-conflicts>

SMITH V.VAN GORKOM 488 A.2D.872 (DEL.1985) (თარგმნა: ჭანტურია, ლ. კორპორაციული მართვა და დირექტორთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2006, 326).

GH, Judgment of 22 November 2005 (Kinowelt)- 1 StR 571/04; წყარო: Madisson k. Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis; 2012; 35.

Judgment of 05 October 1992- II ZR 172/91; წყარო: Madisson, k. Duties and liabilities of company directors under German and Estonian law: a comparative analysis; 2012;